ახლა კი მომავალი დრამატურგი შედეგის წაიკითხავს, ყველაფერს „გაიგებს“. ნაწარმოების პრობლემატიკაში კორექტივებს შეიტანს, დაჯდება და წინასწარ განზრახულ (პიესის) ფორმაში ჩამოაყალიბებს. ამას ახალი ნაწარმოების შექმნა ჰქვია, ჩვენის აზრით, სენტ-გუსიუპერის ტოლი ტალანტი სჭირდება. ვინც მხატვრული შემოქმედების საკითხებზე სერიოზულად დაფიქრებულა, მისთვის ცხადად უკმაფლისია, რომ დრამატურგიულ კვირვალურზე თუ აღარაფერს ვიტყვი, ან გზით ლიტერატურული პირველწყაროს სულიერი ღირებულების შეათვისდის შექმნაც კი შეუძლებელია.

„პატარა უფლისწული“ და საერთოდ ლიტერატურული შედეგების საფუძველზე შექმნილი დადგმების წარმატებლობის კიდევ ერთი ობიექტური პირობა არსებობს. ინსცენირებისთვის შერჩეულ ლიტერატურულ შედეგს, იქნებ, მნიშვნელოვანი პრობლემატიკაც გააჩნდეს და მასზელი სანახაობრივი პოტენციალიც. დავუყვანო ისიც, რომ თეატრმა მას შესაძლებელია შეისინი — დრამატურგიისა და დადგმის თანამედროვე ფორმა გამოუნახა და გამოეხდა ნამდვილად კანკის სპექტაკლი. ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამგვარ დადგმას უწერია. ასეთი სპექტაკლები

თეატრისთვის სულის მოთქმა უფროა, ვიდრე ნორმალური სუნთქვა და ამის მიზნების მოყვანა შეუძლებელია! მხატვრული — თეატრალური დადგმის შინაარსი მაყურებლისთვის ორიგინალადან არის ცნობილი. სპექტაკლში მას „მანამდე უცნობი ამბავი“ არ ვგულებ და თეატრში არ მოდის, და მეორე — დასწრება მნიშვნელოვანწილად ინფორმაციასა და ამოცანებელი. ინფორმაციაში გვერისხმობთ რეკლამას, რომელსაც თვით მაყურებელი აძლევს სპექტაკლს. თუ მაყურებელი ორიგინალის ცნობას და ორიგინალს კი იმიტომ უნდა იცნობდეს, რომ იგი ფართოდ გავრცელებული ინტერტატურული შედეგია, სპექტაკლის ნახვის გეზმდე შეუძლებელია გამოყოფილი დარჩეს, ორიგინალის უპირატესობა არ აღნიშნოს, ხოლო მისი ასეთი შეხედულებას უკვე უარყოფით ინფორმაციას წარმოადგენს.

აქედან — სპექტაკლის დღენაყოფილებაც, ეს განსწობიერება რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმულ „პატარა უფლისწული“ გაეყვალდა. ყოველთვის ამას დაეძინო ისიც, რაც პრაქტიკამ დაამტკიცა: ლიტერატურული შედეგების სხვა ფორმებში განხორციელება, თითქმის ყველა შემთხვევაში, კომპრომისულ პროდუქტს ვკავდვს. ეს კლასიკის ინსცენირების თავისებურებაა.

მართებული არ იქნებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს, ინსცენირებებს და ინტერპრეტაციებს არავითარი გამოკლება არ ჰქონდეს, ან შაით დადგმა მიზანშეუწონელი იყოს. პირაქით: ლიტერატურული შედეგის საფუძველზე შექმნილი სპექტაკლი, მართალია, კომპრომისული პროდუქტია, მაგრამ ამასთან ერთად საჭირო, სასარგებლო იდეების გავრცელებისა და ჭადადების ქმედითი, აუცილებელი საშუალებაც არის და, მამასადაც, ფსადადებულ სამსახურს გაუწევს პროგრესს, თუ ამ სპექტაკლს მაყურებლის მიზიდვის უნარი ექნება.

„პატარა უფლისწული“, რა თქმა უნდა, არ ჩავარდნილა მას წარმატებლობაზე წყადა, ამ დადგმამ თავისი სულიერი მაქსიმუმს ნაწილობრივ მაინც აღასრულა: საჭირო და სასარგებლო იდეები ქართველი მაყურებლის გარკვეულ რაოდენობამდე მიიტანა. ეს უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი საქმეა. „პატარა უფლისწული“ მაგალითმა საერთოდ ინსცენირებების და ინტერპრეტაციების მტკიცეული საკითხების განზოგადება მოითხოვა და იმ დასკვნამდე მივიყვანა, რომ ლიტერატურული კლასიკის ვადადგმებში მეტი პასუხისმგებლობა და დაფიქრება გვმართებს.

სულ სხვაა ორდინარული ლიტერატურული ნიმუშის ინსცენირება, ან ინტერპრეტაცია და საკითხის ამოწურვისთვის ცოტა რამ ამასვე უნდა ითქვას.

ლიტერატურული პროცესისთვის მუდამ იყო დამახასიათებელი და დღესდღეობითაც ძალაშია ის თავისებურება, რომ საშუალო სულიერი ღირსებების ნაწარმოები, ერთნაირი კულტურის ფარგლებში და მის გარეთაც, პოპულარული ხდება კრატებისა და მკითხველის აღიარებას იხვეჭს და შარავანდედს ხანდახან საკმაოდ დიდი ხნითაც ინარჩუნებს. ამის მიზეზში, უმთავრესად, საზოგადოების რომელიმე სოციალურ ფსიქოლოგიური ტენდენციაა. ნაწარმოები უტაპობრივად ატტაული პრობლემას შეიცავს, საზოგადოების გმომწვების და ინტელექტის დონეს უპასუხებს და ამიტომ ერთგვარი მიწიდელობაც აქვს. თუ, ამასთან ერთად, ამ ლიტერატურულ



სანახაობრივი პოტენციაც გააჩნია, მაშინ მისი ინსცენირება, ეგრანიზაცია და სხვა ეანობრივი სახეცვალებაც სრულდება მას, უმრავლეს შემთხვევაში, თვით ავტორი აკეთებს და გატაცებითაც, რადგან გრძნობს, რომ მისი ნაწარმოები, საბოლოო ეამში, ორდინარული ოპუსია, შეკეთება-შესწორება ზედმეტი არ იქნებოდა და ნაწარმოების სხვა ფორმაში განხორციელების პროცესი მისი ღირსებების დახვეწის პროცესიც იქნება.

ამგვარად, ორდინარული ნაწარმოების ინსცენირება-დადგმა, ადვილი შესაძლებელია, უფრო მაღალი ღირსებების სცენური ნაწარმოები მოიტანოს, ვიდრე ორიგინალი იყო. ასეთ სპექტაკლს მაცურებელი იმიტომაც ეტანება, რომ იგი ეროვნული ხასიათისაა (ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა ინსცენირებას ვგულისხმობთ), ხოლო დრამატურისთვის, რეჟისორისთვის და მთლიანად თეატრისთვის მას, ხშირად, სეროზული წარმატებაც მოაქვს.

ლიტერატურული კლასიკის ინსცენირების სუსტ მხარეებზე ჩვენი მსჯელობის წინააღმდეგ „პატარა უფლისწულის“ ავტორები, მოსალოდნელია, თავისთავად წინა დადგმას, „სიბრძნე სიცრუისას“ წამოაყენებენ და იკითხავენ: თუ ოპონენტის ინსაზრებები სწორია, რატომ გაიმარჯვა სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული შედევრების ინსცენირებამო.

„სიბრძნე სიცრუისამ“ მართლაც გაიმარჯვა. ამ წერილის ავტორი მეორმოდართობმეტე სპექტაკლსაც დაესწრო და ანლოგის მოწმე გახდა. თუ „პატარა უფლისწულის“ წარუმატებლობის მიზეზები ასე დაწერილებით განვიხილოთ, მაშინ „სიბრძნე სიცრუისას“ გამარჯვების მიზეზები მოკლედ მაინც უნდა აღვნიშნოთ.

პარალელის გატარების სტრუქტურა ვისარგებლობთ:

„სიბრძნე სიცრუისა“ მძაფრი, მნიშვნელოვანი პრობლემატიკით აღტურვლი ნაწარმოებია. იგივე ითქმის „პატარა უფლისწულზეც“.

„სიბრძნე სიცრუისას“ სანახაობრივი მხარე გაცილებით მახვილია, ვიდრე „პატარა უფლისწულისა“.

დრამატურგიისა და დადგმის თანამედროვე ფორმით ორივე სპექტაკლია აღტურვილი.

„სიბრძნე სიცრუისა“ ყოველმხრივ ქართული სპექტაკლია. მისი საფუძველი ქართული ისტორიული, ეთნოგრაფიული და ზნეობრივი მასალაა. „პატარა უფლისწული“ მკვეთრად გამოხატული ზოგადსაკაცობრიო, ან უკეთეს შემთხვევაში, უცხოურ მასალაზე აგებული ნაწარმოებია.

საკუთარი თავის წინაშე გამოგტყდით და ვთქვით, რომ ჩვენს მაცურებელს „სიბრძნე სიცრუისაში“ „მანამდე უცნობი ამბავი“ ვგულება და თეატრში მოღმის. „პატარა უფლისწულზე“ ეს ნაკლებად ითქმის.

ნ. ხატისკაცის „სიბრძნე სიცრუისა“ დრამატურგიული ნაწარმოებია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: სულხან-საბას პროზაულმა სახეებმა დრამატურგიულ და სცენურ სახეებად გარდაქმნა პოვესს მაშინ, როდესაც „პატარა უფლისწულის“ შემთხვევაში ეს არ მოხდარა.

„სიბრძნე სიცრუისას“ ინსცენირებაში და შემდეგ დადგმაში ავტორებს ერთ მთლიან განწყობილებასთან ქჭრლათ საქმე და სპექტაკლში მისი შენარჩუნება უზრუნველჰყვეს. „პატარა უფლისწულში“ განწყობილებათა გაერთმთლიანება ვერ მოხერხდა.

ფუიქრობთ, ზემომოყვანილი დაპირისპირება ნათეს მოჰყვნს ამ ორი სპექტაკლის გამარჯვება-წარუმატებლობის საკითხს და კიდევ ერთხელ დაადასტურებს ჩვენს მოსაზრებებს „პატარა უფლისწულის“ გამო.

ნ. ხატისკაცის და თ. მაღალაშვილის შემოქმედებამ საკმაოდ მიიპყრო ყურადღება. მათი თეატრალური მოღვაწეობა სავანგებო ანალიზის ღირსია. ზოგი ნამუშევარი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მათ ბევრი რამის უნარი შესწევთ: უვარგისი პიესის სანიტრესოდ დადგმის უნარიც კი.



ქურნალისტის ჟონოლება — ქიკაბა



ქვემოთ ხელნაწერს — ასე ეწოდება წიგნს, რომლის ავტორია, ქურნალისტი სოფიო გველესიანი. დაუსრულებელი გაბედული ძიება მკვლევარისგან ხშირად მოითხოვს დიდ ენერჯიას, ძალისა და შესაძლებლობების უაღრეს დაძაბვას, ფაქტების სწორ და ღრმა ანალიზს, მას შეუძლომულ შეფასებას... რა შეიძლება იყოს ამაზე საინტერესო და მიმზიდველი. ქურნალისტიკაში მოშუავეთა ბედნიერებას სწორედ იმანია, რომ ცხოვრებამ მიანდო ძიება ახლისა, მანამდე უცნობის, რაც მიგნების შედეგ უკვე ხალხის კეთვნილება ხდება. ქურნალისტიკი ხშირად გაიფიქროს იქ, სადც მანამდე არავის დაუდგამს ფეხი, ხშირად შეხედება ისეთ ფაქტს, მოვლენას, რომელიც არსებობა მანამდე არავის სძენია. მაშინ ხდება ძებნა უფრო მიმზიდველი და მიგნებაც უფრო სასიხარულო. არ შეიძლება ვიხმართ ძველბურთი გამოთქმა ახალი რედაქციით — „უზიარებელია ქურნალისტათა გზა“.

ქუმშირითი მკვლევარი უნდა იყოს, რომ სიძნელების მიუხედავად ღრმად ჩასწვდეს ფაქტებს და აქედან მკითხველს მიაწოდოს მხოლოდ მისთვის საინტერესო. კალამი ქურნალისტის ხელში შეიძლება იყოს კეთილი მეგობარი, მრჩეველი, და თუ საჭიროა, ბასრი მახვილიც. სოფიო გველესიანის ახლახანს გამოცემული წიგნი უკვე გახდა მკითხველებისათვის ახლობელი. მასში თავმოყრილია რესპუბლიკურ საჭეთობა და ქურნალისტში სხვადასხვა ღრუს გამოჭევებული ნარკვევები; წიგნი ქართველ მეცნიერთა, მწერართა და ხელოვნების მოღვაწეთა შრომის სადიდებლად ეძღვრის.

ამ შედარებით პატარა გამოცემაში მწერალა, რასაკვირველია, მკითხველს ვერ გააცნობდა ქართული კულტურის ყველა შესანიშნავ მოღვაწეს. იგი ასეთ მიზნას არც ისახავდა. ჯერჯერობით ავტორმა ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავი პლადიდან მხოლოდ ნაწილი შეარჩია და მკითხველს ნაუთხრო მათ ცხოვრებაზე ამალეღებლად, პოეტურად.

ფურცლათი წიგნს და ს. გველესიანთან ერთად ჩვენც გმოგზაურობთ გრიბოედოვის ხელნაწერის საძიებლად. „ჩინებულია თქვენი გადაწყვეტილება, გრიბოედოვის ხელნაწერს თუ ვერ მიაგებთ, სულერთია მუზაერობა მინც გამართლებული იქნება. რაიმე საინტერესოს აუცილებლად შეხედებთ“. ამ სიტყვებით გააცალა. სამწუხრემი მიმავალი ქურნალისტი პროფ. ვ. შადურმა.

წიგნში აღწერილმა ამბებმა დაადასტურეს ლიტერატურათმცოდნის ეს სიტყვები. ს. გველესიანმა ვერ ნახა ხელნაწერი, მაგრამ მის მოწოდებას „ამიტომ ვაგრძელებთ ძებნას“. მისავალი მკითხველი გამოუხმაურა. ამის შემდეგ ავტორი მარტო აღარ იყო, მას თასობით დამხმარე აღმოუჩნდა. უცვველია, რომელიმე მაგიანი მიაგებეს ხელნაწერს. დიდ ქართველ პოეტს, საქართველოს მუთის მველს, ვისი ცხოვრებაც ავტორის თქმით „ჩვეულებრივია და უჩვეულოც“, „...უნარლოცა და დიდებულოც, როგორც ბუნება საქართველოსი“, ეძღვნება ნარკვევი — „ღვთა ფშაველს“. იგი დიდი ინტერესით იკითხება.

შორეული წარსულიდან XX საუკუნემდე, ჩვენს დღეებამდე მოაღწევს ცნობილი აშულის, იმპროვიზატორი-მემოქმედის...ათ-ნოვას ლექსებმა და სიმღერებმა.

აი რას წერდა ვალერი ბრინკოვი საიათ-ნოვაზე: დიდებულ... მხრივი, ტიტეტევიით გულისხმიერი და მიუსუსავით ვნებანი, ერთ-ერთი იმ მალე კლასის პოეტადიანი, რომლებიც თავისი გენიის წყალობით ერთი რომელიმე ერის კეთვნილება კი არ არიან, არამედ საერთო საკაცობრიო სიყვარულის საგანს წარმოადგენენ“.

ს. გველესიანის ნარკვევი საიათ-ნოვაზე საინტერესოდ დაწერილი მოთხრობაა ამიერკავკასიის ხალხთა სიყვარულ პოეტსა და მომღერალზე.

ღრმა პატივისცემის გრძობითა აღსავსე ნარკვევები და რეპორტაჟები ქართველი პოეტებისა და მწერლების შესახებ. ასეთებია: პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მსახიობებზე სესილია თაყაიშვილისა და სოფიო ქიაურულზე.


ღრმა აცალბე პოეტურად და საქმის ღრმა ცოდნით ი წერს ს. გველესიანი ქართველ მეცნიერებზე. ვიტორ კუპრაძე, ელფთერ ანდრონიკაშვილი და მათი თანამოაზრე-უციოსები, იყავ ბეიტაშვილი — აის ადამიანები, რომლებიც დიდი დეაწლი მიუძღვით ქართული მეცნიერების წარმატებაში; წიგნი სრულყოფილად, ამაღლელებლად მოთხრობილი მათ საქმიანობაზე, მოღვაწობაზე, თავდავიწყებულ შრომაზე, დაურეტულ ენერჯიასზე, თავმდაბლობაზე.

სრულად სხვა თემას ეძღვნება ნარკვევი „პროპაგანდისტიკა“. ძნელია წერა იმათზე, ვინც იდოლოგიური სფეროში რომელიმე პასუსაგებ უნაწერ მოღვაწეობენ. მიუხედავად სირთულისა, ავტორმა თავისი შესაძლებლობა აქაც მოსწავა და მინომწილოვან წარმატებასაც მიაღწია. მონახა ნამდვილად საინტერესო ადამიანები და ცოცხლად მოგვიხსრო მათს საქმიანობაზე.

ნარკვევი „პროპაგანდისტიკა“ ს. გველესიანის ფართო შემოქმედებით შესაძლებლობებზე მეტყველებს. ვასურვით, რომ ეს შესაძლებლობები სრულად, ბოლომდე გამოიყენოს ავტორმა, მაშინ სარევენიო წიგნს მოაყვება კიდევ ახალი, სხვა, რომლებიც სასამიწოთ წუთობს განაყდევინებ მკითხველებს. ნიჭიერმა ქურნალისტმა კვლავ უნდა განაგრძოს ძიება.



სანდრო ახეიძის
დაბადების 80 წლისთავისათვის



საქართველოს
საბჭოთავო კულტურის

სკიენიბი სანდრო ანდრეასის შიბი
დადგომული სპაბტაალუბიდან.

- 1926. „ჯანგონი“
- 1928. „რევივი“
- 1928. „ანჟორი“
- 1930. „ლამარა“
- 1931. „თითნული“
- 1933. „ქაბალანი“

ქეკეკე

კული

ირაკლი შერაზადაშვილი

საქ. სსრ სხალხო არტიტი



ირველ აპრილს—ბუნების გა-
ნახლება-გამოღვიძების თვეში,
80 წლის წინათ სიღნაღის
რაიონის სოფელ ანაგაში დაიბადა სახე-
ლოვანი ჭარბელი რევისორი, ბობოქა-
რი, დაუოკებელი ტემპერამენტის, დაუმ-
რეტელი პოეტური ფანტაზიის სანდრო
ანდრეასი. თითქოს წლის ამ ულამაზესმა
პერიოდმა თავისი გამობატულება კპო-
ვა შთაგონებული შემოქმედის სულში.
იგი ნამდვილი გაზაფხული იყო თავისი
მინაგანი თუ გარეგნული თვისებებით.

მას შემდეგ შობილიურმა კახეთმა მე-
ოპოზიციურ გადიდრო სამთრის საბურ-
ული და ვევილებით მორთულ-მოკა-
ზული გამობრწყინდა სამწიფოე. სან-
დრო აბმეტელმა აქედან მხოლოდ 50
გაზფული იხილა. სწორედ ოროცდა-
მეათე გაზაფხულზე შეწყდა მისი „ელ-
ვარე გულის“ ფეთქვა.

სიციცხლის ნახევარსაკუნოვან მან-
ბლზე სანდრო აბმეტელმა მხოლოდ
უკანასკნელი თხუთმეტოდე წელი იმუ-
შავა თეატრში. დიდი ტლანტის შემოქ-
მედებით წვა სწორედ მაშინ შეწყდა,
როცა დააპირა თეატრის საშუალებით
ბოელი მსოფლიოსათვის დენახებინა
ქართველი ერის სახელოვანი წარსული,
სამაყო აწყყო და უბრწყინვალესი მო-
მავალი, მისი დაუმრეტელი გენია. სან-
დრო თეატრის სიციცხლით ცოცხლობ-
და, თეატრის სუნთქვით სუნთქავდა. გა-
ნუზიშლია მისი ღვაწლი და ამავალი
ქართული ეროვნული კულტურის განვი-
არების საქმეში და სწორედ ამიკომ
უფრო სავალალო, რომ მას არ დასცალ-
და ბოლომდე ფთქვა თავისი დიდი სა-
იმწელი ქართულ თეატრში.

მაგრედება ჩემი მასწავლებლის, ქარ-
ოული მწერლობის დიდი მკვლევარის,
პროფესორ ვახტანგ კოტეტიშვილის ხა-
ტოვანი თქმა აბმეტელზე. კოტეტიშვილი
სტუდენტებს პოეტიკაში ლექციას
გვიცხობავდა. მოულოდნელად სანდრომ
კარი შემოალო, მობოდიშებით მოგვესალ-
მა, შემდეგ ვახტანგს შინაურულად გაე-
ხუმრა და კარი გაიხურა. ვახტანგს გული-
ანი სიცილი აუვარდა, სული რომ მოიბ-
რუნა, გვითხრა: „რა უზარმაზარი წყალ-
წყვეს გემია ეს ჭიზიყელი ჯიქი!“

ამ პატარა წერილით მიინდა გავიხსენო
სანდროს მოღვაწეობის ზოგი მომენტი,
რომლებიც მისი შემოქმედებით პორტ-
რეტის დაზატვას რაიმე შტრიხებს შე-
მატებენ.

სანდროს მასებთან მუშაობა, მასების
შეკრულში შეჭრა და გალალება უყვარ-
და. როცა ხელოვანი ამობოქრდებოდა,
მანინ ნამდვილი დირიჟორი, მეთაური
იყო. გეგონებოდათ ეს უამრავი ხალხი
ერთ მუკაში უჭირავსო. მაგრამ როგორც
დირიჟორი, ერთი საბისა და მნიშვნე-
ლობის ინსტრუმენტებზე დამკერულ მუ-
სიკისებს ერთიმეორის გვერდით როლი
სვამდა.





სანდრო აბმეტელი და კოტე მარჯანიშვილი

გავიხსენოთ თუნდაც „ლამარას“ მესამე მოქმედება, როცა სცენაზე, სულ მცირე, რვა-ათი სხვადასხვა ჯგუფი მაინც ჰყავდა განლაგებული, ხოლო თვითველ ჯგუფში ამდენივე კაცი. სანდრო ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მონაცემების მიხედვით შეარჩევდა ხოლმე მსახიობებს და ერთიმეორესთან დააკავშირებდა, ასევე ხმების მიხედვითაც განალაგებდა. პირველ-მეორე ხმებს, ბარიტონებს, ბანებს, ნაკლები სმენისა და ხმების მსახიობებს ისე შეაჯავებდა ერთიმეორესთან, რომ მძლავრი და მუსიკალური ხმების პატრონი „შთაინთქათ“, ფონს გაეყვანათ სუსტად მომღერლები, რომ სცენაზე დისონანსი არსად შეპარულიყო. ამრიგად, ყველა ნიშნის მიხედვით (არც მოცუვავენი ავიწყდებოდა) შეარჩევდა მსახიობებს, შეაჯავებდა, შეახამებდა ერთი მეორეს და ამ ხერხით სცენაზე ამყარებდა ზუსტ თანაფარდობას, პროპორციას, პარმონიას, თითქოს სიმფონიებს თხზავდაო. მაგრამ ამით ოდნავადაც არ ამცირებდა მთავარი მოქმედი პირის როლს, პირიქით, ამ ხერხით უფრო ზრდიდა გმირის სახეს და მასთვის ბელოდის სიმალეზედ აჰყავდა. სწორედ ამაში იყო აბმეტელის რეჟისორული სიღაღე, სიახლე, აღმორჩენა.

აბმეტელს უყვარდა ფართო მასშტაბის პიესები, რათა უფრო ღიად გაეშალა მძლავრი შემოქმედებითი ფრთები. ანდა როგორ შეეძლო ოთხ კედელს შორის მოეწყოვდია „ქართა ქალაქის“ აჯანყებათა სცენები, „თეთნულდში“ სევანეთის მარად თოვლ-ყინულიანი ზვიადი მთები, „ანზორის“ გრანდიოზული სახალხო სცენები, „ყანალებში“ აჯანყებულ სტუდენტთა სამკვდრო-სასიცოცხლის შერკინება ტირანიის ბნელ ძალებთან, „ლამარასში“ თავაწყვეტილი ცეცხვადრეობა და ფარ-ხმალის გააღმასებუ-

ლი ტრიალი? სანდროს სცენის ჩარჩო გალიად მიაჩნდა, ხოლო გელასში წინსიფონიების პარტიტურები ვერ ჩაეტეოდა, სულს ვერ მოიბრუნებდა, მძლავრ ფრთებს ვერ გამოიღია, ვერ გაღალღებოდა.

1934 წლის ზაფხულში, აგარაკ ტბაზე ყოფნისას, სადაც რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი შექსპირის „იულიუს კეისარსა“ და ი. ჭავჭავაძის „აკცია ადამიანის“ დადგმზე მუშაობდა, ყოველ თავისუფალ დღოს სანდრო თავისი წინამძღოლობით გუპკურსიებს აწყობდა. ერთ დღეს განსაკუთრებული სამზადისით წვედით საკოჭაოზე (ბერძენების სოფელია), სადაც სააგარაკო ადგილი უნდა შეგვეჩინა თეატრისათვის. პირადად სანდროს ზაქურნიანის ირგვლივ მდებარე მიდამოები უფრო ხიბლავდა, საკოჭაო კი ყველაზე ულამაზესი და მყუდრო ადგილია, იქ სხვა რამ გასართობი ვერ გამოითიშავდა კოლექტივის ყურადღებას. სანდროს აქ ყველაზე მეტად ხშირი ფიქტნარით დაფარული, მწვანედ მოხასხასე ფერდობი მოეწონა, საიდანაც ირგვლივ ყველაფერი ისე ჩანდა, როგორც ხელისგულზე. აქ შეგვარება და ყველანი თავის გარშემო მიგვიხმო. საუბარი ჩამოაგდო იმაზე, თუ რაოდენ ამოუწურავი თემებია ყოველი შემოქმედისათვის საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება. ცხადია, ძნელია ყველაფრის გახსენება, რაც მამინ იქ მივინახეთ, მაგრამ ერთი ფაქტის დავიწყება მაინც შეუძლებელია: „როცა ვა-

სცენა სპეტაკილიდან „ამერიკელი ჰიპო“



ეს იხსულებებს ვკითხულობ, სწორედ
 ასეი მომავალდობელი პეიზაჟები მესა-
 ჟება თვალწინ, — თქვა სანდრომ. —
 ჩუთი წარმოიდგინეთ, რომ ხატობაა,
 აქე ახლოს იხარშება ლუდი, ხდიან
 რაყს, ხოცავენ ხატისათვის შეწირულ
 კრატებს, შემწვარი და მოხარშული
 ხორცის ოხმივარი მადის მიმცვერულ
 სურნელსაჲს ფენს ირგვლივ, შეწარხო-
 ჴული ვაჭები ლაღობენ, ერთმანეთს
 აპარებინ პაექრობა — ცეცვა-სიმღე-
 რებში, ფარ-ხმლის მარჯვედ ტრიალში.
 უდღეს რას იხილავდა კაცის თვალნი?
 ა, პიესა „ლამარასათვის“ მზამზარე-
 ულ გარემოცვა, — და უცხად გაისმა



სანდრო ამბეტლო, აბელ ენუქიძე, ფელიქს კონი. მოსკოვი 1930 წ.

სოცარ განცდებში გადამდნარი:

- აი მთავრდა... (პიესა ლამარას
 დასწყისი)
- თოღლიანხუდა...
- ია დავთესქ...
- გარდი მოსულა...
- ირმისანი ჯოგი შიგ შაჩვეულა...
- ნეტაჲ ემოვა, არ გავთელა...

მაგრამ აქ უკვე — „პროტესტი“ განა-
 ტადა სანდრომ. „ამ სცენაში ცოტანი
 მონაწილეობი, აწმწვილები, სხვებმა
 რაღა ჴნან? ხომ ხედავთ ყალყუჲ შედგ-
 ნენ? „ღრეობა“, „ღრეობა“ — მესამე
 ზოქედება!..“ და პირველმა წამოიწყო
 „ზამთარი“, რომელსაც ამ მოქმედება-
 ში ვმღეროდით. პირველ ხმას შეუერთ-
 და ტკბილად მოღულუნე მერე და წა-
 მოვიდა ღონიერი ჴანების ნიაღვარი,
 სიშტრას მოსყვა შორებთი პაექრობა,
 ვაგას ლექსის ლაზათი. ყველა მსახიობ-
 მა უცხად მონახა თავისი ადგილი, რო-

გორც ეს სცენაზე იყო განზრახული. ყვე-
 ლა მონაწილე როდი ესწრებოდა უცნა-
 რ ჴეიმს სხვადასხვა მიზეზების გამო,
 მაგრამ პიესა ყველამ ჴეპირად იცოდა
 და მათი შემცველნი სხვები აღმოჩნ-
 დნენ.

ასე გაერთიანდნენ „ლამარას“ მესამე
 მოქმედება ბუნების ამ მომავალდობელ
 გარემოცვაში. თვითონ სანდრო კი ერთ
 ბუმბერაზ ფიჭუს მიყრდნობოდა, განმარ-
 ტობით რომ იდგა და ცქერით ტკბებო-
 და. მის სახეზე რა არ იხატებოდა! გა-
 ნუზომელი სიხარული, სიამაყე, განც-
 ვიფრება, კამყაფილება... ვაგას ლექსე-
 ბის ცეცხლმა სანდროს, ვინ იცის, რამ-
 დენი ახალი გეგმა დაუსახა.


საკუთაოდან წამოვედით დიდად კამყა-
 ფილი და აღფრთოვანებულნი. სადგურამ-
 დე ფეხით ჩამოვედით. ბორჯომ-ბაქური-
 ანის მატარებლის მოლოდინში შებინდ-
 და კიდევ მსახიობები სადგურის ბაქანზე
 მიმოდიოდნენ, ოხუჯობდნენ, მღეროდ-

ნენ, ერთობოდნენ. სანდრო ყოველივეს
 თვალითაჲს ადევნებდა, ტრიალებდა მათ
 შორის. უცხად ჩაგვესმა ყველასათვის
 ნაცნობი სიტყვები: „მატარებელი სცე-
 ლავს, ტყვიის ბადესა ჴვენს, შენ კი
 თვეზი ხარ, იუსუბ, თვეზი...“ ეს სიტყ-
 ვები საოხუნჯოდ იყო წარმოთქმული
 „ანზორის“ მეთოხე მოქმედებიდან. რკი-
 ნიგზის სადგური მართლაც მოგაგონებ-
 დათ იმ გარემოცვას, როგორმაც „ან-
 ჴორის“ მეთოხე აქტს ვთამაშობდით. ამ
 წამოსროლილ „ანკესს“ უცხად წამო-
 ვენენ მსახიობები და რკინიგზის ღიანი-
 დავზე განლაგდნენ ისე, როგორც სცე-
 ნაზე, მაგრამ ანზორის დაუძინებელი
 შტრის — კაპიტან ნელდელასთვის როლის
 შემსრულებელი მსახიობი ვანო ლაღიჲ
 თან არ გვახლდა. მოქმედება კი მიდი-
 ოდა მთელი აზარტით, აღფრთოვანებით.
 ჩვენთან ერთად მატარებლის ლოდინით
 გაბეზრებული უცხო მგზავრები უცხად
 გამოცოცხლდნენ და წამოიშლნენ, საო-
 ცარი სანახავი იყვნენ ისინი „ჯავშნო-
 სანი მატარებლის შესაპყრობად“ გამ-
 ჴადებულ მსახიობთა ცქერისას. თვითონ
 სანდრომ აღარ იცოდა ვისთვის ეცქერნა,
 მსახიობებისათვის თუ მგზავრი მაცუ-
 რებლებისათვის, საოცარი სანახავი იყვ-
 ნენ ერთნიც და მეორენიც.

სანდრო ამბეტლომ მშობელი ერის
 გმირული წარსულისა და აწმყოს ღრმა
 ცოდნით, დიდი ნიჭისა და დაუღალავი
 შრომისმოყვარეობით უბრწყინვალესი
 ფურცლები ჩაწერა ჴართული თეატრის
 განვითარების ისტორიაში. სცენაზე
 ხალხი — მისა, წამყვან ძალად ამბე-
 ტლომა აქტია. ეს მისი აღმოჩენაა ჴარ-
 თულ თეატრში.

სენა სემტაქლიანი „რღევა“





მასობრივი სტენა ახეხელის შემოქმედება

ვასილ კვიციანი
თეატრმცოდნე

სამეტელის შემოქმედებაში არის ერთი სპექტაკლი, რომელიც ყველაზე მეტ დავასა და აზრთა სხვაობას იწვევს. საკმე ეხება ვაჟა ფშაველას ნაწარმოებთა მოტივებზე შექმნილ „ლაშარას“. ჩვენ ეს სპექტაკლი სწორედ ფსიქოლოგიის, „ადამიანურ გრძობათა“ გამომცემის თვალსაზრისით გვაინტერესებს.

თავის დროზე ერთხმად აღინიშნა, რომ „ლაშარა“ „ოსტატობის თვალთახედვით წუნდაუდებელი სპექტაკლია“ (ო. ლიტოვსკი), ამავე დროს კრიტიკამ მიიჩნია, რომ მასში

არ ჩანდა „არც კლასობრივი ბრძოლა, არც სოციალური დიფერენციაცია“ (კ. ფულდმანი). ამას წერდნენ რუსეთშიაც და საქართველოშიც. ეს იყო სპექტაკლისადმი წაყენებული ძირითადი ბრალდება. ამგვარი შეფასება გარკვეული თვალსაზრისით გასაგებია. იმხანად ჯერ კიდევ არ წამოიღოთ კლასობრივი ბრძოლის კვალი. ამასთანავე, არაქართველმა აუდიტორიამ კარგად არ იცოდა ხევსურეთისა და ქისტეთის ისტორია. არის სხვა მიზეზებიც, მაგრამ როცა დღეს ჩვენი თეატრისმცოდნეობა მექანიკურად იმეორებს ოციანი წლების კრი-



ტყუალ გამონათქვამებს, ეს უკვე გაუგებარია.

„ლამარაში“ მართლაც არ არის „კლასობრივი ბრძოლა“ და ეს არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამის შესახებ საესებით ჩაჭვებით თქვა ახმეტელმა: „ლამარა“ გენიალური პოეტის, კლასიკოსის ნაწარმა მიხედვითაა შექმნილი. ეს პოეტი მთი-ლიანი, ლალი, თავისუფალი არსებობდა, სადაც არ იცნობენ არც ფეოდალს, სადაც თავადს, არც აზნაურს... ჩვენი წაგვაწყვიტო, „ლამარას“ და შევიტოვებთ თავისი უფალ ქვეყანაში, თავისუფალ მთიულეთთან, (ხახი ჩემია, ვ. კ.) ხალხის ბრულ ფუნებში გავივებდით იმ ელემენტებს, რომელნიც საჭირონი არიან ნამდვილი ნაციონალური საბჭოთა თეატრის შესაქმნელად“.

როგორც ვხედავთ, კრიტიკის მიერ სპექტაკლისადმი წაგვებელი ბრალდება არ ითვალისწინებს მასში ასახული ხალხის ცხოვრების სპეციფიკას, მთ ისტორიულ პირობებს. ამასთან ერთად, განა საავადლებოთა ყოველ პიესაში იყოთ კლასობრივი ბრძოლა ან სოციალური მოტივები? განა საკმარისი არ არის ეს ფაქტი, რომ „ლამარა“ სოციალისტური პიონირი, ხალხი ძიონისა და მეგობრობის პოემა? სპექტაკლს მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ.

ეფროპული ლიტერატურისა და თეატრის სპეციალიტიკა გიგანდები წყარად: „შემსრულებელთა მოძრაობასა და ინტონაციას იგრძნობა ის გაკანებულთა, დაოუკებელი ვნება, რომლის ნაწილობრივ გამომხატულებას ეფროპული აქტიორები ხანგრძლივი სკოლით ითვისებენ და იმასაც არა ყოველთვის წარმატებით და სინამდვილის დაკვირვით“. და იქვე „არსებითად ეს მკაფიო სასიყვარულო ტრაგედიაა, ძლიერი ინდივიდუალური ხასიათების დრამა, რომელიც თანამედროვე სოციალური ბრძოლების გარეშე დგას“. უკანასკნელი სტრიქონი თავისთავად იხსნება და გვიჩვენებს აღიარება იმისა, რომ „ლამარა“ „ძლიერი ინდივიდუალური ხასიათების“ ტრაგედიაა. ახმეტელმა სპექტაკლში ბრწყინვალედ გვიჩვენა სწორედ ეს ძლიერი, დიდი ფსიქოლოგიური ძაბვის, რანდელი შემართების ადამიანები, რაც საესებით შეესაბამებოდა გაფა ფაველას შემოქმედებით ბუნებას. გენიალური პოეტის უშუალოდ ხიზლადაც ვნებანი ტრაგიკული განცდის ხასიათები. ასეთ ადამიანებს მეტი სილამაზე და მომხიბვლელობაც ჰქონდათ.

„ლამარა“ იყო „ხალხთა მეგობრობის სპექტაკლი“ (მ. რომანოვსკი), რომელშიაც ახალგაზრდული ტემპერამენტები იდებოდა ვრწყობდა „მოწყფებულ სიბრძნეს“. თეატრმა გვიჩვენა რომანტიკული სიყვარული, ადამიანური გრძობის სილამაზე და ძლიერება.

ახმეტელმა „ლამარას“ ტრაგიკულ სიტუაციებში გამოართო ხალხთა ძიონის ეთილმობილური იდეა.

...თორღვის შემოაკვდება ლამარას ძმა მურთაზი. მინდას უყვარს ლამარა, მაგრამ თორღვისაც უყვარს იგი. მინდას და თორღვი მამით ერთნი არიან. ლამარა ქისტია, მინდას და თორღვი კი — ხეყსური. ბუნების შესაიდუმლე მინდას ბაღას კარგავს, როცა შეიტყობს, რომ ლამარა გაიტაცა თორღვამ. იგი „დრო და დრო მოიღს“ გონს, დრო და დრო

ისმენს ბუნების ხმებს, მაგრამ ისევ ჰკარგავს ამ უნარს. ღორღვი ფიცისა და ჯიუტი, იგი სიყვარლის ვნებით არის გრძობილუბი და ძმასაც არ ინდობს. მიუხედავად ამისა, მინდას ქისტის თავისით ვეწვევს ქისტების სოფელს, ლამარას მამას, იროს. ქისტები დრტინებენ, ფუთავენ და ებზადებიან მურთაზის სისხლის ასაღებად. და აი, მოუღდენდა იროს ბიანში გამოინდებდა მინდას. იგი აუწყებს ქისტებს, რომ მას თორღვი აჭკია, მან მოჰყლა მურთაზ. იქნება უკდრფესად დაბადული ატმისფერი. პილდირის, მინდასა და იროს შორის იმართება დიალოგი:

„პილდირა — შენ მათეც ლამარა? მინდა — მე მოვიტაცე.
პილდირა — შენ მაკალ მურთაზ? მინდა — მე შემომავედა.
პილდირა — რასთვის მოხვდენ? მინდა — სისქმა მოხვებია.

(გაქვავებული სიტყვა „სისქი“ იროს ეტრება მახვილად. შეირბევა, ატორტანდება, მოსკლტება. შეიგრძება ხალხის ცდელს. ჩამოტრდება ხალხს, მტრობაღდება. იმშულებს ხმლს. მივარდება. შესაძებებს მინდას.)
ირო — სისქ! ხმლ!
მინდას გაეცა!
(მინდას ხმლს იტრობს, გაავდებს განზე. თითონი მიწაზე დავარდება.)

„მინდა — მე შხად ვარ.
ირო ვაღატება, უახლოვდება, სხე მარტო რისხვია. თვალუბი — მარტო სისქლი. ამბობა ხმალ. ეს არის უნდა მოქმისი. უეცრად მარჯვან ცახტის წყეებს. შემდეგ — მთელი ტანო, მოსკლტობილად დავარდება თათან მინდას, ქეითინებს, ბოლოს მუბზელე ჰკოცნის. ვიზი, გაოცება).
ირო — წამოვქე.
(მინდას დგება გაოცებულთ)
მინდას — მე შხად ვარ.“

ეს ტემპირიტად ტრაგიკული სინამაზბა სასევა ღრმა სულიერი თრთოლივითა და ტანჯვით. ახმეტელს სწორედ ასეთი ლიერი ადამიანების სინაურისა და წესილის გამოხატება აინტერესებდა. შურისძიებით გახელებულმა ირომ, მიუხედავად თავისი დიდი შრისხანებისა, ვერ გაუძლო უიარაღოდ ფეხქვეშ გაოხმებული ჭაბუკის მშვენიერ სახეს. მან დაინახა, რომ სიყვადოლის წინ მინდას „სახეზე ერთი კუნთიც არ შეჩებვია.“ „ამირ შეილი ხარ ჩემი“, — სთქვა ირომ და მინდას გადაებვია. ცრემლმორევიდა მინდამ მიუაღერსა კაცს, რომელიც თორიდე წითის წინ მას მოკვით ემუქრებოდა. ქისტები ადიდებენ იროს სულგრძელობას: „ირო გმირია, ირო რანდია“, — ისმის მათი ხმა და ჩვენ ვგრძობთ, რომ მოხდა უღდესი ქუანდური აქტი. დამარცხდა სისხლის აღების საუკუნოვანი ადათი. ბნელ ინსტინქტებს გზა დაუთმო გონიერებამ, გაიმარჯვა ვაეკაციობის პოეტურმა იდეალმა. აქვე უნდა გავისყენოთ ერთი ანალოგიური მომენტები ვაფას, „სტუმარ-მასპინძლიანს“. ეს ბიზოილი უფრო ნათეს გახდის იროს რანდობის არსს.

ზვიადურის დასჯის სცენამ გამოიწვია აღაზას ქუმანიშიში. როდესაც აღაზა დაინახა თუ რა ვაეკურად შეხედა ზვიადურის სიყვადობს, იგი მოიხიბლა „უყუბო მოყმიო“, რადგან მისთვის უმაღლესი მშვენიერება იყო ვაეკაციობა და გმირობა.

„აკაცს კაცური სიყვადილი ვეღოლმე არა ჰქარებოდა.“

აღაზას სწორედ ეს „კაცის კაცური“ ქვევა აძლევს იმპულსს, რომ ხმა აღიმაღლოს ადამიანთა შორის მტრობისა და გაუტანლობის წინაღმდეგ.

1 ახმეტელის კრებ. 1957 წ. გვ. 238, 239.



და განა მინდიას ვეგაცურება თავგანწირვამ არ განმუხტა ირის მრისხანება? განა აქ არა ჩანს სულეერი გმირობისა და რანინდობის ათასწლეობი იდეალების ზეიმი?

მინდია აქ ეზიარა ყველაზე ტრაგიკულ წუთებს. ვეგაცურად გაიარა განსაცდელი და ისევ შეერწყა ბუნების იდუმალ სამყაროს. მან კვლავ მოისმინა ბუნების საოცარი ხმები, დაინახა „ყოლი“ და იგრძნო, რომ „გული იზრუნა“ მთამაც... ველამაც...

მაგრამ არც ამით დამყარებულა სრული ჰარმონია. ქისტებმა შეიტყეს, რომ მინდია თორღვაი არ არის. მოატყუეს ირო. თორღვაი ხევსურებს მოუძღვის ქისტეთის დასარბევად. ირო მინდიას ეკითხება: „რანისთვის მოხველ თორღვაის სახელით“. „ლამარა მეც მიყვარდა“. მაგრამ თორღვაის უყვარს ლამარა. „ლამარას ხომ უყვარს თორღვაი?“ — ისევ დაკითხავს ირო. „უყვარს, — ამბობს მინდია, — მაგრამ თორღვაი მძის მკვლელია...“ მძის მკვლელთან კი ლამარას არ ასურს ყოფნაო.

მთა ინტერესების ეს რთული შეპირისპირება აძლიერებს დრამატულ კონფლიქტს.

მინდიამ იცის, რომ ლამარა მძიმედ განიცდის მრმხსარ ფაქტს და იმ მოსალოდნელ შედეგს, რომელიც შეიძლება იჩოსა და თორღვაის შეხვედრას მოჰყვას.

„ან შენ რომ მოკლა თორღვაი —
ან შენ რომ მოკლას თორღვაი...
მამინ ისიც მოკვდება...“

მინდიას სურდა სიკვდილისაგან ეხსნა ლამარა, ამიტომ გამოეცადა ქისტებს. იგი პირდაპირ ეუბნება იროს: „მე მამაკლავდი, სისხლ ჩემზე აიღებდი... შენ დამწვიდებდო... ლამარაც მორჩებოდა“.

აი, ეს არის მართლაც ღვათაბერივი სიყვარული. მინდია მზად არის თავი შესწიროს, თუ ამით სიცოცხლეს მიანიჭებს სატრფოს.

ემოციური დაბაბულობა არც მომდევნო სურათებში შენელებულა. ქისტეთის დასარბევად შემოიჭრა თორღვაი. ხევსურებმა ალყა შემოარტყეს იროს ბინას. მათ მინდია მტრად და მოღალატედ მიიჩნევს. შეტაკებას თითქოს წინ აღარაფერი უდგას. თითქოს კონფლიქტი გარდუვალია, მაგრამ სწორედ აქ ხდება შერიგება. ხევსურები იგრძნობენ მინდიას სიმარტლის

ჰაბსპურგში ხშირად მსმენია ალტა-ცებული მსჯელობა სანდრო ახმეტელზე. მის თეატრსა და სპექტაკლებზე. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე „ყაჩაღებმა“. სანდრო ახმეტელის სახელი მუდამ მადელებდა, მისი შემოქმედება აღაფხნებდა ჩემს წარმოდგენას.

1936 წელს პირადად შევხვდი ს. ახმეტელს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელ-

მწიფო თეატრში. იგი ბოროდინის ოპერას „თავად იგროს“ დგამდა. საოპერო დასი აღფრთოვანებული იყო ს. ახმეტელის შემოქმედებითი პრინციპებით, მსახიობებთან მუშაობის მეთოდით. მის დიდ ნიჭსა და შკაფიო ინდივიდუალობაზე მთელი ლენინგრადის თეატრალური საზოგადოებრიობა აღაპარაკავდა.

სანდრო ახმეტელს უდიდეს ფიგურად ვივლი ხელოვნებაში. განსაკუთრებით

მიტაცებდა მისი თეატრის განუმეორებელი თითმყოფადობა, ერთნული ბუნებით განპირობებული ემოციურობა, მკნებარება, რიტმულობა, პლასტიკა.

იგი მუდამ სამაგალითო იყო ჩემთვის, გოცნებობდი გამგზდარიყვი ამ მიმართულების რეჟისორი. ამიტომაც ვნახობ, რომ არ ვიცნობდი ს. ახმეტელს ახლოს, არ ფყოფილვარ შემოქმედებითად დაკავშირებული მასთან.

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი მოვინებაა, როდესაც ნიუ-იორკში კარნეგი-ჰოლში გამოსვლის შემდეგ მივიღეს ს. ახმეტელის გულთბილი ტელეგრამა მხურავლე მლოცვეებით, საკეთესო სურვილებით. მასში ამოვიციხე თანამემამულის წარმატებით აღდგელებული დიდი პატრიოტის სინარული. ეს იყო ერთადერთი ტელეგრამა საქართველოდან.

ადამდე გულისტკივილით ვიგონებ ამ დიდი შემოქმედის უღროდ წასვლას ხელოვნებიდან, იგი მოწოდებული იყო შეეშენა ბევრი რამ განუმეორებელი, არა მარტო ქართულ თეატრში, არამედ საერთოდ — დიდსა და საყოველთაო ხელოვნებაში.

ახსანა პაპაიანი

სსრკ სახალხო არტისტი, ლენინ-სკრა და სხელოწიფი პრემიების ლტერეტი

სენა სპეტაკლიდან „ლამარა“.





ბლას, იგრძნობენ ქისტების რაინდულ თავდაქრებს და ხმლებს დაუშვებენ. არც თემის ადამი შეუბღღლავს მინდიას და არც თავისი გვარი შეურცხებენია.

მე კაცი ვარ... ისმის მინდიას ხმა და ჩვენც ამ ხმამი გვრძობთ მის დიდ ჭეშანიხში.

სცენაზე შემოიჭრება ფერმისხდილი ლამარა. მინდიასა და თორვაის სთხოვს ხელი გაუწოდონ ერთიმორეს. მერე თავისეენ უბნობს ორთავებს. მარჯვენა მელავს მოხვევს მინდიას კისრზე, მარცხენას — თორღვას. ჭაპუკები ჰკოცნიან ერთმანეთს. წამიერად დგება ტრაგიკული სიჩუმე. ლამარა მძათა შერგების სახეიშო წუთებში კვდება. ისმის ძველისძველი საგალობელი. სიყვარულისა და სიკეთის გამარჯვების ჰიმნს მღერაან ყველანი.

„რომ უჩვენებინა გრძობის მეუფება, — წერდა ე. ბესიანი, — რუსთაველის თეატრმა აიღო „სიყვარულის ტრაგედია“. სპექტაკლი ვერ იპოვინო მჭევრმეტყველი შეყვარებულის ან პეტლე განწირული „გმირი ქალის“ ტრადიციულ ფიგურებს. ამატომ აქ სიყვარული ჭეშმარიტად ტრაგედიაა“. „სპექტაკლი გვიჩვენებს, რომ ახალი შემოქმედებით მეთოდი სრულიადაც არ გამორიცხავს ფსიქოლოგიას და ადამიანურ გრძნობათა მრეღ ვაშს“.

რუსთაველის თეატრმა „ლამარაში“ ადგილობრივი „თქმულება საკაცობრიო დრამის სიმალღუზე აიყვანა. თავისი დამახულობით, სიღრმეითა და ასახვის უბრალოებით ეს სპექტაკლი შექსპირულია“ (კ. ფელდმანი).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია



საბჭოთა თეატრის დიდ რეფორმებს პრობლემების დიდი სიხვეც მოჰყვა. ახალი თეატრის წინაშე წამოიჭრა მრავალი კითხვა, რომელიც გარკვეულ პასუხს მოითხოვდა. ეს იყო კითხვების რთული კომპლექსი და ამ სირთულეს საესებით გრძობდა ახალი თეატრი.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვას სცენაზე ხალხის როლისა და ადგილის გარკვევა წარმოადგენდა. მას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა თეატრის ცხოვრებაში. ამხეტელამც სწორად ამ მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მისობრივი სცენის პრობლემა ძირითადი გახდა მის თეატრალურ ესთეტიკაში.

ამხეტელის ბევრ სპექტაკლში კოლექტივი წარმოადგენდა მთავარ მოქმედ გმირს, ხშირად მის განსაზღვრავდა წარმოდგენის ხასიათს. ამხეტელმა განაზოგადა სახალხო სცენების მნიშვნელობა და გამოირჩეული ადგილი დაეთმო საბჭოთა თეატრის ცხოვრებაში, შემოქმედებითად აითვისა კ. მარჯანიშვილისა და, საერთოდ, მთელი ქართული თეატრის მონაპოვარი და სრულიად ახალ სიმალღუზე აიყვანა იგი. მას მიანიჭდა, რომ ახალ ქართულ თეატრში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მასის სულეირი განწყობის, მისი ერთიანი ინტერესებისა და მისწრაფებების გამობატვას. საჭირო იყო იმის გადაწყვეტა, რაც თვისათავად ჩვენი ბოჭოქის ადამიანთა ურთიერთობის სახითაც მნიშვნეულად. სხვაგან სად უნდა გაუმოხატულიყო ძველების მინებელთა სახებიც, თუ არა მასობრივ სცენებ-

ში? ცხადია, ეს მომენტი არ გამორიცხავდა ინდივიდუებს, არ უპირისპირდებოდა გმირს. მართლაც, ხომ შეიძლება მთელი ხალხის ახალი ერთმა გმირმაც გამოხატოს?... მაგრამ ამხეტელს იმისადა უბრის ერთობლივი კოლექტივი მოძრაობის ფორმად უფრო იტაცებდა. მის წინაშე მთელი სიმწვაგით იდგა კოლექტივის ფსიქოლოგიის, მისი რომანტიკული გმირობის გამოსახვის პრობლემა.

ამხეტელისათვის ეს მსოფლმხედველობრივი მომენტი იყო და არა წინიდა „სცენური“ მოვლენა, მისთვის მასა პასიური კატეგორია კი არა, ისტორიის შემოქმედი ძალა იყო და ამ მალეი დღეობის ერთობლივი მხედველად გმირისა და წინამძღოლის ურთიერთობის საკითხს. მან იცოდა, რომ გმირი აერთიანებს და ამეღვანებს ხალხის შინაგან მისწრაფებებს, ხელმძღვანელობს მას და წარმართავს განსაზღვრული მიზნებისაკენ, „ინდივიდუალური ნებისყოფა იმყოფება კოლექტივის ნების მთლიანობაში, რითაც უზრუნველყოფილია მათი დიალექტიკური ერთიანობა“, — წერდა ა. დუღუაჯე 1933 წელს „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში.

მაგრამ მასა როდეს კლავს ინდივიდს. ყოველი აქტიური ხელშეახებად გრძობს და განიცდის პარტიიორს, ყოველი მიზანსაცნა და დეტალი აგებულია ამ ურთიერთობაზე. ამით ინდივიდუმი ინარჩუნებს თავის „შესა“ და ეს ყველაფერი ისეა გამოსახული, რომ იგი საესებით ამართლებს „დურჯულთა“ ლოზუნგს — „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“.

მასისა და გმირის ურთიერთობის საკითხში თეატრს ჰქონდა თავისი მტიციე პოზიცია. იგი, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა ანსამბლურობას, კოლექტიურობის პრინციპის გაცნად დატყვას. თეატრი იღებდა ცალკეული პერსონაჟების „გამორულ რომანტიკას მასასთან ერთად, რაც მათ ხდიდა მხოლოდ პირველხედა თანასწორთა შორის. ისინი წარმოადგენდნენ თავისებურ კორიფეებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გუნდს. ეს თვისება თავის მხრივ ხაზს უსვამდა სტილის მონუმენტურობას“², „რუსთაველის თეატრი ანსამბლის თეატრია, თეატრი არამეულებრივი, გამაზვიელებული ოსტატობისა მასიური სცენებში, თეატრი კოლექტიური მოქმედებისა. სცენაზე ასე კაცი მოქმედებს ისე, როგორც ერთი, განსაკუთრებული სიმკვეთრით, განსაკუთრებული რიტმით — ერთი მოძრაობა, ერთი ესტრი, და იმავე დროს დეტალების მრავალსახეობა. ყოველივე ეს რაღაც არამეულებრივ შესაბამისებულ სიმწვაგითი ორეკსტრის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელიც გვაოცებს არა მარტო სისწორით, არამედ მასტრული შესრულებითაც. ისიც კი, მსახიობი როგორ გამოდის და გადის სცენიდან, როგორაა აგებული მოძრაობა და მეტყველება, აღსაესვც ცეცხლით, პაოსითა და ენებებით“³.

ახე რთმ, როდესაც მასობრივ სცენაზე ვლაპარაკობთ, არც ერთი უწიით არ უნდა დავგავიწყდეს მასის მთლიანობისა და ინდივიდუალისაჟის საკითხი. ეს ყველაზე მთავარია მასობრივი სცენის გადაწყვეტის დროს.

ცალკეული როლის ინდივიდუალისაჟისათან ერთად, ამხეტელი ახერხებდა მოეცვა ერთი მთლიანი მასა. სწორად შენიშ-

² პროფ. ვსევოლოდსკი — გენეროსი, ვაზ. „კომუნისტი“, 1934 წ., № 136.
³ „მანა“ ვაჟაშვილი, 1930 წ., 27 ივნისი.



ნავდა გახ. „საბჭოთა ხელოვნება“, როცა წერდა: „რუსთაველის თეატრში მასა მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომლის ყოველი ნაკვეთი გაცოცხლებულია გარკვეული აზრით და ექვემდებარება წარმოდგენის საერთო კონცეფციას. თეატრის ეს თავისებურება მაგფიოდ გამოხატავს იმ იდეას, რომელიც თეატრის შემოქმედების საფუძველს წარმოადგენს“ (1934 წ. 20. VIII).

ამიტელი ქმნიდა უბრალოდ მასობრივ სცენებს და რეჟის წინაშე აცოცხლებდა ხალხის პოეტურ სულს, მის ლამაზს და მშვენიერ სახეს. იგი ამით ქართულ სცენას სრულიად ახალ ბრწყინვალეობას ანიჭებდა.

მართალია, ძნელია გმირის ფსიქოლოგიური განცდების პოეტური გადმოცემა, მაგრამ ამმეტელს უფრო რთული და, შესაძლოა, უფრო დიდი პრობლემა აღედგება იმხანად. საქმე ექნებოდა მასის ფსიქოლოგიას. აქეთქენ იყო მიმართული მთელი მისი ყურადღება. ამიტომ მის საექტაკლებში უდიდესი შთაგონებით იყო გამოხატული ხალხის შეგრთვებული ნებისყოფა, ძლიერი ვაგაცურეი შემართება და რომანტიკული ფრთაშესხმულობა. მისმა საექტაკლებმა ნათელაყვეს გმირული რომანტიკული თეატრის მთელი სილამაზე. „ანზორია“, „რღვევა“, „თუნუღლი“ და „ქართა ქალაქი“ უშუალოდ ეხებოდა თანამედროვეობას და აშდენად გაუგებარია (რბილად რომ ვთქვათ) ზოგიერთების „მტიკცება“, თითქმის რომანტიკული ნაკადი რუსთაველის თეატრში შორეული წარსულისადმი მიძღვნილმა თქებმა შემოიტანეს.

ბესა, რომელიც საფუძვლად დაედო „ანზორს“ („ჯავნოსანი“) სამხატვრო თეატრში დადგა. საექტაკლს წარმოატება ზედა, მაგრამ მოსკოვის კრიტიკამ ქართულ წარმოდგენასთან შედარების დროს ერთი მგადა პრინციპული განსხვავება შენიშნა. „რატომ აუღერდა ახლებურად ამ თეატრში „ჯავნოსანი“ შედარებით პირველ სამხატვრო თეატრთან? — კითხულობს ბ. ბუსკინი და იქვე განმარტავს: „აქ საექტაკლის მთავარი გმირები პარტიზანული რაზმი და მისი ბგალი ანზორია. სამხატვრო თეატრში პარტიზანული მასა, პარტიზანული მოძრაობა სრულიად არ იგრძნობა. იგი შეცვლილია ვერმინინის მოსაწყენი, ფიქრში ჩაბირული მძიმე ფიგურით და მის გარემომცველ ერთეულ მებაზობხეთა გვეუფით“.

ამმეტელმა გვერდი აუარა „ფიქრში ჩაბირული“ კაცის თემას. მის ეპოქის მთავარი ტენდენცია ადელეგებდა და რევოლუციური მასის ფსიქოლოგიის გამოხატვას ცდილობდა. იგი შეგნებულად ახდენდა „გაღართვის ინდივიდუალური გმირიდან კოლექტივის ცხოვრებისა და ბრძოლის ფსიქოლოგიაზე“.

სწორედ აქედან მოჩქეს გმირული რომანტიკის თავანკარა წყაროდ. მაყურებელს სჯეროდა ხალხის გულწრფელი რევოლუციური გატაცებისა, ბიძალადა მათი გმირული შემართება, პოეტური აღმაფრენა და სილამაზე.

ამმეტელმა კარგად იცოდა, ამგვარი, სკეპსისაგან თავისუფალი, შუუღალავი სულის ადამიანთა ფსიქოლოგია. იგი ისწრაფოდა მთელი სიღრმით გადმოეტა ხალხის ძალა, მისი სალიერი სიმტკიცე და სიღაღად. ამმეტელი ამ მომენტს ხალხური თეატრალური ფორმების საკითხს უკავშირებდა. ხალხურ

ფორმებს კი, უპირველესად, მასობრივ სცენებში მიმართავდა. არც ერთ ქართველ რეჟისორს ისე ძლიერებდა და დაქვემდებარებულად გამოუხატავს ხალხის რველუციური რომანტიკა, როგორც ეს ამმეტელმა გააკეთა. მასობრივი სცენები ანციფორება „ანზორიას“, და „რღვევას“, „თუნუღლისა“ და „ყანალების“, „ლამარასა“ და „ქართა ქალაქის“ მნახველებს. იგი აღაფრთოვანებდა მაყურებელს. ყველაზე მკაცრი კრიტიკოსები კი ვერ უარყოფდნენ ამმეტელის უდიდეს დამსახურებას შემოქმედების ამ სფეროში. „ამმეტელმა, — წერდა „ზარია ვოსტოკა“, — პირველ პლანზე წამოსწია მასობრივი მოქმედება, გააღრმავა იგი. რამდენი ძალა, რამდენი მძაფერი მოძრაობა, როგორი უშრეტეი სიმწვევა მასობრივ სცენებში, როგორი განსაცვიფრებელი სამუშაოა შესრულებული მასობრივი სცენების დადგმელის მიერ! როგორი გულწრფელი გატაცება მეფობს სცენებში — ხომალდზე. რაიგი გაღვლებები და აღვანთებენ საბჭოებისათვის ბრძოლის ეს გმირული სურათები. ამამა დადგმელის უტყველი წარმატება“ („ზარია ვოსტოკა“, 1928, № 30).

ეს მართკ „რღვევას“ როდი ეხება. ანალოგიურ შეფასებას ეხედებით ამმეტელის სხვა საექტაკლების მასობრივ სცენებშიც, აქ ერთი მომენტია საგულისხმო: მიუხედავად მასობრივი სცენების „პირველ პლანზე წამოწვევას“, საექტაკლში არ დაკარგულა მთავარი გმირი. მთელი სისრულით გამოჩნდა ბერსენევისა და გოლდენის სახეები (ა. ხორავა, უ. ჩხვიძე). ჩვენს წინ ფსიქოლოგიური სიმართლითა და დიდი ადამიანური განცდებით სახენი წარმოდგენს რველუციის ქარტბოლში მოქცეული გმირები. ამ დადგმაში, — წერდა ფლანაგანი, — არის პროპაგანდის სცენა, რომელიც თავისი თეატრალური ეფექტით შეიგრძობილის დადგმეზს აჭარბებს. იმ დროს, როცა წითელი მატროსები „ავრორას“ ეუფლებიან და ზარბაზნებს პეტროგრადისაკენ მიმართავენ, — უზარმაზარი, მატროსების სახე გემი მაყურებლისაკენ დაიწყებს მოძრაობას, ხოლო პროფეტორი სხივებს დარბაზისაკენ მიმართავს და განანათებს წითელ დროშას, რომელიც ზედა ქანდარიდან ეშვება და მას ტამის ცებით ეგებება უნებურად ფეხზე წამომდგარი საზოგადოება“.

მასობრივი სცენების ემოციურ დაძაბულობას მართკ გახლებული რიტმი, ფიციხელი ტემპერამენტი, ხალხის სულიერი აღსულება როდი ქმნიდა. სცენებს ანებდა მუსიკალური პანგი. სურათებს განდებდა მუსიკალური აკომპანემენტი. „პირველად ენახე თეატრი, — ამბობდა დირიჟორი სამოსული, — სადაც მუსიკა და სიტყვა ასე მჭიდროდ არის შეკავშირებული. ზოლო, „თუნუღლის“ მსგავსი საექტაკლი არც რუსეთში და არც უცხოეთში არ მინახავს. „თუნუღლის“ მუსიკა და სიტყვა — ეს არის ახალი გზა, ახალი ეტაპი, ახალი თეატრი, თეატრი დინამური“.

თეატრალური აზროვნების ამ სიახლეს მუსიკის, სიტყვის, პლასტიკის და მათი რიტმის ორგანულ სინთეზში ხედავდა ამმეტელი. ამის საუკეთესო მაგალითი იყო მასობრივი სცენები: „სიკვდილის ცეცვა“, „ბოქემიის ტყე“, „ბალო-მასკარადი“, „მაღების სცენა“ და სურათები „ლამარადან“.

გაციხსებით ზოგიერთი სცენა:



...ჯავნოსიანი მატარებელი უახლოვდება პარტიზანებს. მატარებლის შესაჩერებლად საჭიროა ვინმე დაწვევს ლიანდაგზე. ამას მოითხოვს რევოლუციური ინტერესები. საჭიროა წილის ჯრა, თუ ვინ უნდა დაწვევს ლიანდაგზე. პარტიზანებმა მოიხმეს თავიანთი საყვარელი ზაირა. ჭადარასანმა თქვა: „თვალები უბათა“, რომ ზაირა ვერ ხედავდეს, ვისაც აირჩევს. ასე არაო — შესახა ყველამ. ცვეკვის დროს ვისაც გამოიწვევს, ის დაწვევს. „ვისაც აირჩევს, ის იყოს სასიკვდილო“, — დაუდასტურა ახმა. „ზაირა, ზაირა, — ეუბნება ანზორი — ესენი სიკვდილს დასცემიან. ცხარე ბრძოლის წინ მათ სურთ შენი ცეკვა, იცეკვე შენებურად, თავდავიწყებით. ამოირჩიე ერთი ჩვეთაგანი საცვეკოდ, ვინც შენ გინდა: მე, ჭადარა, ახმა, ლარი, იუსუფ, ვისაც ისურვებ, უარს არავინ გეტყვის. არავინ, არავინ. იცეკვე ზაირა. იცეკვე ბრძოლის წინ ჩვეთების... ასე... ასე...“ — მატარებელი ახლოვდება. ვინ დაწვევა ჯერ კიდევ არ არის გააწვევდელი. სიჩქარეა საჭირო თორემ ჯავნოსი იცეკვებოდა, ხალხი ძალზე აღელვებულა, ხან მატარებლისაკენ ეძიებენ — ხან ზაირასაკენ... დაიწყო გიგური ცეკვა. ხალხს წრე აქვს გაკეთებული. ყოველი პარტიზანი ცდილობს, რომ ზაირამ ის გამოიწვიოს. ზაირა კი ეძებს თავის შეყვარებულ ახმას. ერთი კადნი წამოუარა წრეს და ახმას წინ განაგებოდა ცეკვა. სახეზე ღიმილი აქვს. გამოიწვია ახმა. ზურნის დაკვრა შეწყდა. ყველა გაქვავდა. ზაირაც გაქვავდა. არ იცის რა მოხდა. მატარებლის ხმა უფრო და უფრო ახლოვდება⁴.

კენჭისყრის ეს რაინდული ფორმა უდიდესი შინაგანი დრამატულობით იყო სახეს. ტრაგიკული სიმძაფრე და რევოლუციური შემართება ოპტიმისტური ტრაგედიის ფორმაში იყო გააწვევდელი.

ამხეტელმა მარჯვედ გამოიყენა ხალხური ჩვეულება. მან შესძლო მასობრივი სცენის სრულიად ახლებული გადაწყვეტა. ამრიგად, ამხეტელი მასობრივი სცენით წვევტდა რადენიმე საკითხს.

1. სცენაზე ხალხის როლის ჩვენება დაკავშირებული იყო ახალი, სოციალისტური ტექნიკის ხალხთა უთიერთობის კოლექტიურ პრინციპთან. ხალხია ისტორიის შემოქმედ და რევოლუციური ბრძოლის ციტადელი. „ამხეტელმა გამოსახს სახალხო მასები მათ რევოლუციურ აზიურთებაში“ (ა. ლუნაჩარსკი), რევოლუციური პათოსი, შემართება გადმოსცა მასობრივ რიტმით, მგზნებარებით: „მყურებელი გრძნობს ამხეტებულ მასას, რომელსაც წინ მიუძღვის თავანერგულ მებრძოლთა ჯგუფი — კომუნარების სიხშირე“⁵. („ერთა ქალაქი“). სექტაგონი („ანზორი“) გამოიხატა „რევოლუციის კოლექტიური სული და სიმძაფრე“⁶. ამხეტელმა მოგვცა „ბულნაფული და გმირული განცდა რევოლუციის, სიხარული, გატაცება, ნამდვილი სიცოცხლე და სიმშენებელი“⁷. („რდევია“).

5 კომუნისტი, 1929 წ., № 251.
6 ახალგაზრდა კომუნისტი, 1928 წ., № 193.
7 კომუნისტი, 1928 წ., № 35.

4 ა. ხორავა. გამოქვეყნებული ნარკვევი „პირველი რევოლუციური სექტაგონი“.

1928 წელს. სანდრო ამხეტელმა შემოთავაზა რუსთაველის თეატრში მუშაობა. ცდუნება ძალზე დიდი იყო. ლენინგრადის კონსერვატორიაში მცადონებობა შეეწყვიტე და თბილისში დაებრუნდი. თეატრში ამხეტელის კანონდთან შეჭრად, მორიდებით ვიადექი. უკბად კარი გაიღო, გრივალეით შემოიჭრა ადამიანი, რომლის ვასაკორამა ღიმილმა წამსვე დამატყვევა, მომჩაჟღავნა კანონდისაკენ მიზიძგა... საუბარი გაბა.

სანდრო ამხეტელი გატაცებით მიამბობდა „ანზორზე“... პიესა ხელში ვჭირა. მეორე ხელის თითით დაეინებით აწვალვდა შვიი ხვეული თმის კულს — ასეთი ჩვევა ჰქონდა. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მუშაობა, რომელიც მრავალ წელს გაგრძელდა. მუდამ მანვიფერებდა ის შეუპოვრობა, რომლითაც იგი ეძებდა და პოულობდა თეატრალური ხელოვნების ახალ, გაუცვალავ გზებს.

ს. ამხეტელი თვითმყოფადი ტალანტით, აზიურთებული ტემპერამენტით, მსახიობის, მხატვრისა თუ კომპოზიტორის, მთელი შემოქმედებითი კოლექტივის აღგზნების ძვირფასი უწართ, მიიღარი ინტუიციით, შემოქმედებითი წვით ქმნიდა სექტაგონებს, რომლებიც აკეთილმოზილებდნენ ყველას — შემსრულებელსაც და მაყურებელსაც, ანიჭებდნენ ტემპარატ მხატვრულ სიამოვნებას და სიხარულს.

იგი სწორუპობა ოსტატობით ხელს უწყობდა მსახიობთა შემოქმედებითი ბუნების გახსნას, ქმნიდა ისეთ სექტაგონებს, რომელთაც მაყურებელი თავდავიწყებამდე მიჰყავდა.

ამხეტელის რეაქტიციებს მუდამ ვესწრებოდი, მიტაცებდა მისი რეფიორული ოსტატობა. იგი როგორც უდიდესი ხუროთმოძღვარი ძერწავდა სახეებს, ხანიათებს, ტიპებს. განსაკუთრებით დამამახვირდა „ყსაღლების“ რეაქტიციები — კარლ მოორის (ა. ხორავა), ფრანკ მოორის (ა. ვასაძე) და სხვათა სრულქმ-

ნილი სახეების გაყოცხლების პროცესი. ეს იყო სექტაგონი, აღსავეს ახალი შინაარსით, მგზნებარე რევოლუციური ფლავადობით.

სანდრო ამხეტელი არ იყო პროფესიული მუსიკოსი, თუმცა მდიდარი ბუნებით ყოველთვის ღრმად გრძნობდა და უტყუარი ალღოთი აღიჭვამდა მუსიკას, როდესაც მასთან ერთად ვმსჯელობდი სექტაგონის მუსიკალურ გაფორმებაზე, ყოველთვის მოითხოვდა აბსოლუტურად ზუსტ ინტონაციურ სახეს — ცოტათონი გადახარაც კი რევისის არ გამოჩინებდა და მუსიკას არ მიიღებდა.

რუსთაველის თეატრში სანდრო ამხეტელთან მუშაობის დროს, შევისწავლე და შევიცანი თეატრალური მოქმედების ფორმა, მისი საექციფია, გამჭოლი მოქმედების კანონები და განვადიდი იმ შემოქმედებით სიხარულს, რომლის დაწვიყება შეუძლებელია. სანდრო ამხეტელის სახელი ახლაც მალეულებს.

31 ათო კოპიილი კომპოზიტორი, სსრ კსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე



2. როგორც ვთქვით, რეგისორი დიდი ყურადღებით მოეკიდა მასისა და ინდივიდუუმის ურთიერთობის საკითხს. ამის შესახებ გარკვეული წერდნენ: „არსად არ კარგავს ინდივიდუმს, პიროვნებას“⁸. იგი ჩინებულად გმირობს გმირის ადგილს სპექტაკლში (ანზორი, კარლ გორნი და სხვ.).

3. სახალხო სცენები წარმოადგენდნენ „ძირითად კომპოზიციურ ბირთვს“ (ე. ბეკინი). ამბეტელმა გადავიწყალა ხალხის სულიერი მოძრაობის, მისი ვენებიანი ამოხევის განადიოზული სანახაობა. რეგისორი ფართო მასშტაბებში, მონუმენტურ ვაზრებაში იძლევა მასობრივ სცენებს. ამგვარ მასას კი სჭირდებოდა ძლიერი, ვაჟკაციური, გმირული სულის წინამძღოლი. ამიტომ არის ამბეტელის სპექტაკლის ყოველი გმირი მტკიცე ნებისყოფის, თავის ძალაში დაჯერებული მებრძოლი. ამბეტელის სპექტაკლებში ვერ ნახავთ ვერც ერთ უღიმამლო, სუსტი ბუნების, მადეჩაველებს სხის ადამიანს. სულ ერთია — მტერია ის თუ მოყვარე — ჩვენს წინაშე დგას ძლიერი პიროვნება (ბერსენევი, ანზორი, გოდენი, ძმები მოორები, არ-გიმიდი, მინდა, თორღავა, ახმა და სხვ.).

შემატებული ხალხის კეთნამარხი, სისხლსავსე, ძლიერი ინდივიდუუმების წინამძღოლამა განსაზღვრა ამბეტელის ენერჯული თეატრალური სტილი.

4. ამბეტელმა მასობრივი სცენების გამოხატავაში დიდი ადგილი დაუთმო ხალხურ თეატრალურ ფორმებს.

1933 წელს მოსკოვში, გასტროლებს შემკავამებელ სიტყვაში იგი ამბობდა: „ნუ გაგიკვირდებათ, რომ ჩვენი მსახიობები მღერაან და ცეკვავან, უპირობო ჩვენთან მსახიობი ვერ იმუშავებს. ის ნომრები, რომლებიც ახლა აქ იყო შესრულებული, ნამდვილი ხალხური შემოქმედებაა... მე ვიცი, რომ თქვენი ნომრები არ ივლით, ვიცი, არ ივლით არც ფრაკებით, მაგრამ შევეცილია თუ არა ჩვენი ცეკვებიდან, ჩვენი სიმღერებიდან ავიღოთ ელემენტები ახალი საშუალებებისათვის? ვამბობ, რომ შეგვიძლია“⁹. აქვე უნდა გავისენთოთ სახელგანთქმული ჭორბოგრაფის ჯ. ბალანჩინის სიტყვა: „დაჩვენებულნი ვარ — როცა აქაური ახალგაზრდა ერთგული ტანსაცმლით იმოსება, მაშინ იგი უფრო მეტ პატივს სცემს თავის თავს, თავის ერთგულ დანისებებს. ვფიქრობ, აქედან მომდინარეობს ცეკვის სასიათი — ამაყი, თამაში, გადამწყვეტი“¹⁰. ჩვენი დიდი თანამედროვის ამ აზრმა არ შეიძლება არ გავავახსნოს ამბეტელის სპექტაკლები.

ამბეტელი ხალხურ მასალას, მის ფორმებს იყენებდა არა ყოველთვის უშუალოდ, არამედ „შორიდან მოუღობ, რადგან მისი დამდგომი რეჟოლუციის იდეებს ასახეობებს“ (ფლანაგანი). „მე ვერ წარმომედგინა, — ამბობდა ისლის თეატრის დირექტორი ნისლენი, — რომ ხალხური რიტმის, მუსიკის და ფიზიკური მოძრაობის შეერთება შეიძლებოდა ისე, როგორც ეს შეველო რუსთაველის თეატრმა“¹¹. „ზეუსურთა დროების და ლესქმობით შეიძებრებს“ („შაირობის“) სცენა გენიალურია თავისი მუსიკალითი, თავისი მოძრაობის ფერებით“, — წერდა კონსტანსია მ. რომანოვსკი. ხალხური ფორმების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო „ბაპების“ სცენა („თეთნებელი“, სურა-

თები „ლამარაში“, „ანზორში“, „ხაგმეში“ და ამბეტელის სხვა სპექტაკლებში. ხალხური (ზოგჯერ პრინციპული) ფორმებისადმი გამაჩვილებული ყურადღება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამბეტელის სპექტაკლებს.

5. ყველაფერი ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, უშუალოდ უკავშირდება გმირულისა და ფსიქოლოგიურის ერთიანობის პრობლემას. ამბეტელი გატაცებით ეძებდა ხალხის სულიერი განცდების, მისი ფსიქოლოგიური განწყობილების გამოხატველ სცენურ ფორმებს. კოლექტიური ცხოვრების რიტმი და მიზანი, მისი არსებობის აუცილებლობა, მისი მოქმედების აზრი, მისი ყოფის დრამა და იმედების სიხარული“ ერთ მთლიანობაში იყო მოცემული და წარმოადგენდა სულიერი განცდის გამოხატველ განადიოზულ სანახაობას.

როცა მასობრივ სცენებზე ულიპარაკობთ, ერთი მიმეტყუნდა აღენიშნოთ: ამბეტელის ელემენტი ვერადგება მიაციკოროს საკითხს საბჭოთა თეატრში. საქმე არ ეჭება მარტო „თეთნებულს“, სადაც კლასობრივი ბრძოლის შექცევა მოცემული „ძველი ბერძნული ქოროს სინთეზი აღმოსავლურთან“ (ა. ლიუზა მსტროლიკი), არამედ ამბეტელის სხვა სპექტაკლებშიაც გვხვდება ქორო, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობისა. იგი რაღაც უფრო ქართულია, რაღაც უფრო კოლორიტული და თვითმზაბია. მისი სპექტაკლების მასობრივი სცენების პრინციპი მეოცე საუკუნის ქართული, ეროვნული თეატრალური ქოროს პრინციპია. ამ მხრივ საბჭოთა ვაგნერი იგი უფროდ ერთ-ერთი პირველი რეგისორია, რომელმაც თავისებურად აღადგინა და შემოქმედებიადა გამოიყენა ანტიკური თეატრის მიღწევები.

სიტყვის მუსიკალური ელერადობა, ფრასის სხარტა, ლაკონური წარმოთქმა, მასის ერთობლივი შეხასილი და შეფერილი პლასტიკური გამოსახულება კანდიდატისათვის რელიევიანი აქტიური ნატურისა მან ორგანულად დაუკავშირა სინთეზური თეატრის პრინციპებს, აღადგინა შინაგანი კონტაქტი ახალსა და ძველ თეატრალურ ტრადიციებს შორის.

ამბეტელმა მასობრივი სცენებში დიდი ადგილი დაუთმო საუნდო სიმღერებს, პოეტურ დიტირამებს, ვაგისენოთ სცენები „ლამარადან“. „მესსიერებში ჩაშრდა, — წერდა ა. კრისტენსენი, — ჯგუფების მასობრივი გამოსვლები მთავრ, როცა მამაკაცები ბჭობაზე იკრიბებოდნენ და თვითნაი მთის სიმღერებს მღეროდნენ. ამ საუნდო სიმღერას პირველად დაიწყებდა ერთი, შემდეგ მეორე და სიმღერა, რომელიც ერთ ჯგუფს მოედებოდა, წუთის შემდეგ მზად იყო, როგორც ცეცხლის ალი, მეორესაც მოედებოდა. სიმღერის დროს ყველა ეს ჯგუფი განუწყვეტელ მოძრაობაში იყო. ისინი მგლოდიურად ირხებოდნენ და თითქმის მოძრაობით ასრულებდნენ სიმღერას და ყოველი მოძრაობა სიმღერის სცენიდან თუ მზიარულ ტონს შეესაბამებოდა“.

და ეს ყველაფერი როგორა ძვავს ანტიკურ ქოროს!
ვატა ფშველა ხვესურეთისადმი მიძღვნილ ერთ წერილში მისთვის ჩვეული ბუნებრივით აღწერს ხანძატის დღობაში, „მზემ მოპაბა თავისის სიხვეი მთის წვერებს და ჩემს პირადამირ სჩადა აქა-იქ პისარა ყველივით გვერდებში. აი გამომოდა ხვესური მთის წვერზე; მისი ხმალისა, ჯაჭვისა,

⁸ კრუდერი „რუსთაველის თეატრი“ 1934 წ. გვ. 26.
⁹ ს. ამბეტელი „კრებულ“ 1934, გვ. 132, 142.
¹⁰ „კომუნისტური“, 1962 წ., 29 ნოემბერი.

პრინცი და ფარის პრიალი შეეროვა მოის ყვაილები პრი-
ალან; მოის ვიწრო ქვიმიან ბილიკუხდ, მოუდის რამდენიმე
ქვარი და დამღერის:

თუმბ არ წაელენ სათიბსა, ლაშქრობა მოგენდებოა,
ამ ლამაზ პოეტურ სამყაროს მიიღველნი იწყებენ ღრუო-
სს, დავს. შემდეგ შორიგდებიან. ისე გაიმართება ლხინი.
„თამაში და ტრის-კერა, ისმის სიმღერა რაღაც მკედარი და
ჯრნობით საესე, საჩვენებელი ჯერ მათი ბუნებისა და მერმე
მათი მამა-პაპის გადანახადის დროის“¹¹.

შეიღო ეს სამყარო ამხეტელმა ბრწყინვალედ გამოხატა
„ლამარს“ მასობრივ სცენებში.

„რანდული რომანტიზმის“ მომღერალმა სრულიად ახალი
პრინციტები გადაუშალა ქართულ თეატრს. იგი ბოლომდე
ღარა რომანტიკული, ვაჟაკური, ენერგიული თეატრალური
სტილის უბადლო შეიქმმედი.



სცენა სპექტაკლიდან „ლამარს“

¹¹ ივ. ფრეველი „სახელგამი“ 1920 წ., გვ. 389, 390.

ალაიანი, შაოქაელი

დავით ანდლელაძე

სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
პროფესორი



სანდრო ამხეტელმა ხანმოკლე
მოღვაწეობის მანძილზე შექ-
მნა შედევრები: „ლამარს“,
„ანზორი“, „ყაჩაღები“, „რღვევა“.

რუსთაველის თეატრი გასცდა საქარ-
ველოს ფარგლებს და მკაფიო ეროვ-
ნული სახისა და თვითმყოფადობის მი-
უხედავად საყოველთაო აღიარება მოი-
პოვა. უსხოვლებიც კი სანდრო ამხეტელ-
ის სპექტაკლებს ახალ სიტყვად
სთლიდნენ თეატრალური ხელოვნების
იტორიამი. იგი აღიარებული იყო არა
მარტო ეროვნული თეატრის ფუძემდებ-
ელ, არამედ დიდ ნოვატორადაც.

ჩემთვის „ლამარს“ ქართული თეატრის
სწორკუთხედიანი კონსტრუქციაა. ალტაყე-
ბის გარეშე ამ სპექტაკლის მოგონება
შეუძლებელია.

სანდრო ამხეტელს გავეცანი 1924
წელს, თბილისში ჩამოსვლისთანავე. იგი
დღე უკრადლებს უთმობდა ახალგაზრ-
დობას, დაინტერესებული იყო ქართვე-

ლი ვოკალისტების ზრდით, რადგან ვო-
კალური ხელოვნება ეროვნული კულტურის
ერთ-ერთ მძლავრ გამოხატულებად
მიაჩნდა.

როცა ჩემი დებიუტი დაინიშნა (რი-
ჩარდის პარტია ვერდის „ბალ-მასკა-
რადში“), იმხანად თბილისის საოპერო
თეატრში არც ერთი თვალსაჩინო რეჟი-
სორი არ მოღვაწეობდა. ვგანზობდი ამ-
ხეტელის კეთილსა და გულსხმიერ და-
მოკიდებულებას. ამიტომაც გახებულე და
ფთხოვე ემუშავა ჩემთან რიჩარდის სა-
ხეზე.

დებიუტი წარმატებით ჩატარდა. წარ-
მოდგენას მოწინავე ქართველი საზოგა-
დებობრიობა დაესწრო. არ დამაკვიწყებ-
და მსოფლიო დავით კლდიაშვილის გან-
ცვივრება: „ნუთუ ეს დებიუტანტია, ასე
თავისუფლად რომ მოძრაობს სცენაზე?“
(ცხადია, ეს ქება უფრო სანდროს ეკუთ-
ვნოდა.

1926 წელს სანდრო ამხეტელმა სა-

ოპერო სტუდიის ძალებით, რუსთაველის
თეატრის სცენაზე „ჯამაზუბი“ დადგა.
ლუონკაეალის ოპერა ქართულ ენაზე აე-
ღერდა. დირიჟორობდა ივანე ფალია-
შვილი. ეს იყო ბრწყინვალე წარმოდგე-
ნა, აღსაესე ვენებათა დღევით, განცდათა
სიწრფელით, სიმძაფრით. ს. ამხეტელის
დადგამში ლუონკაეალის მგზნებარე მუ-
სიკამ ქუშმარტაღა შუასტყვისი და
ტოლფასოვანი სცენური ხორცესხმა
პოვა. რეჟისორმა ახალბედა მსახიობე-
ბი მოდრიკა, აამოქმედა, პლასტიკური
გამომსახველობით ამხეტელმა მათი
ხსეულები. მან შექმნა მხატვრულ სახეთა
მონოლითური ანსამბლი, რომელშიც
თვითეული გმირი მკაფიო მხატვრული
ხასიათით და ტემპერამენტით გამოირ-
ჩეოდა. მასობრივ სცენებში რუსთავე-
ლის თეატრის დასი მონაწილეობდა. მა-
სის თვითეული წვერისათვის მონახული
იყო განსაკუთრებული სცენური პოზი-
ცია, ინდივიდუალური გამომსახველო-
ბითი საშუალება. ხალხმზარავალი წარ-
მოდგენა ერთი მძლავრი მაქისცემით
ფეთქავდა. ეს სპექტაკლი საოპერო
შტამპის რღვევის, გადასახების ინიციათი
ნიმუში იყო. ს. ამხეტელის მიერ დადგ-
მული „ჯამაზუბი“ სტუდიის შემოქმე-
დების ბიოგრაფიამი მიულწიველ
მხატვრულ მოვლენად რჩება.

1932 წელს თბილისის საოპერო სცენაზე
ს. ამხეტელის მიერ დადგმულ ფე-
მელდის ოპერა „რღვევაში“ გოლდენის

პარტიას ვასრულებდი. მთელი დასი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. შემოქმედებითი წვა და გატაცება ყველას ეკიდებოდა, სხვაგვარად ს. ამბეტელის რეპეტიციებზე ყოფნა შეუძლებელი იყო.

ს. ამბეტელი სინთეტურ თეატრს ქმნიდა. მის რეჟისორულ ხელწილამ მუდამ თან ახლდა მუსიკალობა. ამიტომაც საოპერო ტანრი აბლობელი იყო მისთვის. ოპერის მუსიკალურ-სინთეტურმა ბუნებამ ფართო გასაქანი მისცა ამბეტელის ნიჭსა და მხატვრულ პრინციპებს. მის საოპერო სპექტაკლის ყველა კომპონენტის განახილება და ამავე დროს მათი მთლიანობაში შერწყმა ემარჯვებოდა. განსაკვირვებელი იყო მუსიკალური პარტიტურის აღქმისა და შემოქმედების ნიჭი. საოპერო სცენაზე იგი ძირ-წყადა ისეთ მხატვრულ სახეებს, რომელთა პლასტიკური მოქნილობა, სცენურ მორაობათა ნახაზი პარმიონიულად ერწყმოდა მუსიკალური მასალის პლასტიკურ მონახაზს. მუსიკალობა, რიტმი, ტემპორამენტი, პლასტიკურობა, დინამიკა სიცოცხლით ავსებდა საოპერო სცენას, ტემპირიტ ცხოველყოფილობას ანიჭებდა მუსიკალურ პარტიტურას. ასეთი იყო პერიოდულ-რომანტიკულ პლანში გადაწყვეტილი „რდევასი“. ვიქტრობ, მალაშხატრულობით იგი დრამაში დადგმულ სახელგანთქმულ „რდევასი“ არ ჩამოუვარდებოდა.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შემოქმედებითად დაკავშირებული ვიყავი ს. ამბეტელთან.

შეუძლებელია აქვე არ აღვნიშნო ს. ამბეტელის იშვიათი გულუხვობა, კაცთმოყვარეობა, თუკი ვინმეს — სტუდიელსა თუ მსახიობს ხელმოკლებას შემარწმუნვდა უკანასკნელს გამოიჭებდა, ვაჭყაყურად დაემხარებოდა, ხელს გაუწვდოდა წინააღმდეგობათა გადასახლებადა.

სანდრო ამბეტელის შემოქმედება განუწყობებელი მხატვრული მოვლენაა, თუმცა ამ სიტყვებსაც არ ძალუბთ სრულყოფილად განსაზღვრონ მისი დიდი ხელმოკლება.

სანდრო ამბეტელის უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე — ერთგული ტრაგედიაა.

ქოველი ახალი სიტყვა თუ მოგონება კიდევ უფრო წინ წასწევს სანდრო ამბეტელის შემოქმედებით ცხოვრების შესწავლის საქმეს. ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია დიდი ხელოვანის შესახებ გადავეცე მკითხველს ყოველივე, რაც ჩემთვის ცნობილია და რისი მოწმეუც პირადად ვიყავი.

1934-1935 წლებში, მოსკოვში სწავლის პერიოდში, თბილისის ვახუთ „საბჭოთა ხელოვნების“ კორესპონდენტის მოვალეობას ვასრულებდი და ვახუთში სისტემატურად ვათავსებდი წერილებს დედაქალაქის კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე. 1934 წლის დასასრულს თბილისში ჩამოვედი. რედაქციამი მიიხრეს — რუსთაველის თეატრთან მუშეუმი მხარსგაო, რამაც ძალიან დამაინტერესა და იმავე დღეს რედაქციის მდივან კ. ბოკერიასთან ერთად მუშეუმი დასათვლიერებულად წავიდი. მუშეუმი დავეხვდა რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, მსახიობი და დრამატურგი ი. ქანთარია, რომელიც შეთავსებით მუშეუმი გამგედაც იყო დანიშნული. სწორედ მან მიიხრა — ს. ამბეტელს უნდაო შენი ნახვა. გამიკვირდა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, სტუდენტი „ახალგაზრდა ქურნალისტი“, რომელიც კ. მარჯანიშვილისა და ს. ამბეტელის თეატრებს შორის გამართულ „ბრძოლაში“ მთელი შეგნებით კ. მარჯანიშვილის თეატრის მომხრეა შორის ვიყავი. ამავე დღეს შევეხდი დიდ რეჟისორს ი. ქანთარიასა და ა. ბოკერიას თანდასწრებით. ს. ამბეტელმა გულისხმიერად გამომიკითხა სწავლის შესახებ, მოსკოვის თეატრის ახალ დადგმებზე და ბოლოს მიიხრა: „შენ ახალგაზრდა ხარ. გატყობ, შრომა გიყვარს, თეატრი გიყვარს. მიხდა, რომ ჩემი პირადი წარმომადგენელი იყო მოსკოვში, მოგვაწოდებ ახალ პიესებს, ინფორმაციებს მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებაზე, სამაგვიროდ ყოველთვიურ ხელფასს დაგინიშნავით“. რა თქმა უნდა, დაეთანხმდი. ორი თუ სამი დღის მერე მოსკოვში დავბრუნდი და დაბლობით ერთი კვირის შემდეგ მივიღე ერთი თვის ხელფასი 300 მანეთი და პირადლობის მოწმობა.



მოსკოვი, 1930 წელს სტალინი, ჯ. კარაიანი, ი. სტალინი, ს. კორნეიჩუკი, ს. ახმეტელა, ვადალბერგის სპექტაკლის ლამარის დათმობის შემდეგ.

ს. ახმეტელი უარესად დაინტერესებული იყო ყოველივე სიახლით, რაც მოსკოვში ხდებოდა, აინტერესებდა ახალი პიესები, უნდა და დროულად გასცნობოდა მათ, ყოფილიყო სიახლეთა კურსში.

პირველი დავალება, რომელიც ს. ახმეტელისაგან მივიღე, ის იყო, რომ მოსკოვში მომეძებნა დრამატურგი ა. კორნეიჩუკი და გამომეზიარა მისი ახალი პიესის „პლატონ კრეჩეტის“ ეგზემპლარი. ეს პიესა ჯერ მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში დადგმული არ იყო. იმხანად მას დასადგმელად ამზადებდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალი. მეორე დღესვე წავიღე თეატრში, მორიგეში ჩემი დაბეჯითებითი თხოვნით რეპეტიციიდან გამოიყვანა ა. კორნეიჩუკი, რომელსაც გავეყვანი და გადავეცი ს. ახმეტელის თხოვნა. შევთანხმდით, იმავე საღამოს სასტუმრო „საიუნი“ უნდა მივსულიყავი მასთან: ცნობილია, თუ იმ პერიოდში ს. ახმეტელი რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მას სახელი გაუთქვა რუსთაველის თეატრის გასტროლებმა მოსკოვში (პირველად 1930 წელს — მოკვამრე ნაციონალური რესპუბლიკების თეატრების ოლიმპიადზე, სადაც ნამევენები იყო „ლამარა“, „ანზორი“ და „რედვია“ და მეორედ 1933 წელს — თეატრალურ ფესტივალზე, როცა ზემოთ ჩამოთვლილ სპექტაკლებს გარდა უჩვენეს სამი ახალი დადგმა — ფ. შილერის „ინტიმანოსი“, ვ. კირილინის „ქართა ქალაქი“ და შ. დადიანის „თეთნულდი“). ამ გასტროლების შედეგად რუსთაველის თეატრი და კერძოდ ს. ახმეტელის რეჟისორული მეთოდი მოექცა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის თეატრალური სამყაროს ყურადღების ცენტრში. რა თქმა უნდა, ასეთ თეატრში პიესის დადგმა ყველა დრამატურგისათვის დიდი პატივი იყო. მით უმეტეს ა. კორნეიჩუკისათვის, რომელიც მაშინ დიდ სამწერლო ასპარაზზე გამოიყოდა.

ა. კორნეიჩუკმა სასტურროში საუბარი გ. მარჯანიშვილის თეატრის მიმართ საყვედურით დაიწყო: „ესკადრის დაღუპვა“ დადგეს და პრემიერაზე არ მიმიწვიეს, არ ვიცი როგორ დადგეს, თუ მოიწონა მაყურებელმაო. ეს სპექტაკლი ნანაბი

მქონდა და შთაბეჭდილება გავუზიარე. შემდეგ დაიწყო პიესის კითხვა. თვითონვე ძალიან მოსწონდა და ყოველთვის მნიშვნელოვანი სცენის დასრულების შემდეგ ამბობდა — „ეინ იტვისის, რომ „ესკადრის დაღუპვა“ და ეს პიესა ერთმა და იგივე ავტორმა დასწერა“. მაშინ ა. კურნეიჩუკი პიესებს თავის მშობლიურ — უკრაინულ ენაზე წერდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოუტანა თარჯიმანმა თავისუფალი ეგზემპლარი, რომელიც გადმომცა და თბილისში გამოვსვანე, თან ვწერდი, რომ ავტორი პრემიერაზე აუცილებლად მოეწვიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ სამხატვრო თეატრის ფილიალში „პლატონ კრეჩეტის“ პრემიერა შედგა. მალე ა. კურნეიჩუკი კიევიში დაბრუნდა. მან თავისი მისამართი დამიტოვა და მთხოვა საქმის ვითარება შეცნობებია. მას შემდეგ გავიდა სამკაო დრო, მაგრამ არ ვიცი, ამზადებდა თუ არა თეატრი „პლატონ კრეჩეტს“. ა. კორნეიჩუკი სისტემატურად მიგზავნიდა წერილებს, მე კი პასუხის გაცემა არ შემეძლო. ბოლოს ს. ახმეტელმა მაცნობა: „პიესა არ გამოდგება ჩვენი თეატრის პროფილისათვის და არ ვდგამთ“.

მეორე პიესა, რომელიც მოსკოვიდან გამოვსვანე, იყო ინგლისელი დრამატურგის ფლტერის „ესპანელი მღვდელი“. ეს პიესა სამხატვრო თეატრში დაიდგა და მოსკოვის თეატრალური სეზონის საუკეთესო სპექტაკლად თთულეობდა. თეატრის ხელმძღვანელმა ი. ბერსენევმა მიმართვისთანავე დაუყოვნებლივ გადაამტკიცა პიესა, მთხოვა, რომ პიესასთან ერთად მისი სახელით საუკეთესო სურვილები გადაემეცა ს. ახმეტელისათვის.

„ჩელიუსკინელთა“ ისტორიული ეპოპის დასრულების შემდეგ, ერთმა ლენინგრაძელმა დრამატურგმა სმირნოვმა, რომელიც გესპედიციის მონაწილე იყო, ლენინგრადში დაბრუნებისთანავე დაწავა პიესა „არ დავენდები“, რომელშიც ასახული იყო ცნობილი საბჭოთა მეცნიერის ი. ი. შმიდტის მეთაურობით „ჩელიუსკინელთა“ ეკიპაჟის ბრძოლა ბუნების სტიქიასთან. ს. ახმეტელი დაინტერესდა ამ პიესით. ერთი შეხედვით პიესა სიუჟეტის მიხედვით საინტერესო უნდა ყოფი-



ლიყო რუსთაველის თეატრისათვის, რომელიც გმირულ-კეროიკული მიმართულებით ვითარდებოდა. პიესა ჯერ კიდევ დაუმუშავალი არ იყო, ს. ახმეტელი კი მიიხივდა, როგორც შემოწმდა და დაუყოვნებლივ გადაამუშავა. დავაპირე ლინინგრადში წასვლა, მაგრამ მალე დრამატურგი თვითონ ჩამოვიდა მოსკოვში — მწერალთა კავშირის დრამსექციამ მისი პიესის საჯარო კითხვა-განხილვა მოაწყო. პიესა აქტუალურ თემაზე იყო და შეტყობიდა კითხვის ცნობილი რეჟისორები, კრიტიკოსები, თეატრალური მოღვაწეები და სწორედ. შესვენების დროს გავეცანი დრამატურგს და გადავეცი ს. ახმეტელის სიტყვებს. მან დიდი აღფრთოვანება გამოხატა. მეორე დღესვე მიმიწვია სასტუმრო „მეტროპოლიში“, პიესის ვგუშვალარი გადმომაკა და მეც სასწრაფოდ გამოვგზავნე თბილისში. მაგრამ არც ეს პიესა დადგა ს. ახმეტელმა. იგი დიდ მოთხოვნებს უკუნებდა ჰოვლელ პიესას იდეური მიმართულებისა და მხატვრულობის მხრივ.

1935 წლის გაზაფხულზე ს. ახმეტელისაგან მივიღე წერილი: „პარიზის საერთაშორისო თეატრალური კონფერენსიისათვის დავაზაადეთ ჩვენი დადგმების „ლაიზარა“, „ანზორი“, „რღვევა“ და „ინტერანოსი“ მაკეტები და ვგვანით „ეოქსის“ სახელზე. გიგზანით რკინიგზის ქვირთებს, ჩააბართ „ეოქსი“, რა თქმა უნდა, წავედი „ეოქსის“ (სხვ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება). მალე ყუთებიც მივიღეთ, გაგზნებით და მაკეტებიც ამოვიღეთ. თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა. მხატვარ ირაკლი გამრეკელს ყველაფერი საკუთარი ხელით გაკეთებია. რა თქმა უნდა, ყველას მოეწონა. იმ წლებში ნიუ-იორკში არსებობდა დრამატული თეატრი „ვასარისის“, რომლის სცენაზედაც იდგმებოდა ამერიკის და დასავლეთ ევროპის თანამედროვე პიესები. „ვასარისის“ იყო ყველაზე მემარცხენე ტენდენციების ექსპერიმენტული თეატრი ამერიკის სინამდვილეში. მისი დირექტორი ქ. ფლანაგანი 1933 წლის მოსკოვში იყო და ნახა რუსთაველის თეატრის ყველა სპექტაკლი, გაეცნო ს. ახმეტელს. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ქ. ფლანაგანი ცდილობდა შეერთებულ შტატებში მოეწყო რუსთაველის თეატრის გასტროლები. ვარაუდობდა, რომ რუსთაველს სპექტაკლები უთოოდ დეი გაეღვინა მოახდენდა ამერიკის ახალგაზრდა მუშათა თეატრის შემდგომ განვითარებაზე. 1934 წელს „ვასარისის“ დაირქვიანა მოსკოვში მოავლენა თეატრის ახალგაზრდა რეჟისორი ქალი ჯულიეტა პარიზანი, იგი მოსკოვის რეჟოლუციის თეატრის რეჟისორ პაპოვის ასისტენტად მუშაობდა უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ დადგმაზე. ამავე დროს თან ჩამოიტანა შუამდგომლობა ს. ახმეტელის სახელზე, სადაც „ვასარისის“ დირექტორი სთხოვდა ს. ახმეტელს 1935-1936 წლების სეზონში ხელფასის გარეშე მიეღო უ. პარიზანი თეატრის სარეჟისორო პრაქტიკის მისაღებად. უ. პარიზანს ახლო ვიცნობდი. მის ბიზნისი იკრიბებოდნენ მოსკოვში აკრედიტებული პროგრესულად განწყობილი ამერიკელი და ინგლისელი ჟურნალისტები. როგორც კი უ. პარიზანის ბიზნისი მივიღეთ, იწყებოდა ლაპარაკი რუსთაველის თეატრსა და ს. ახმეტელზე. ყველაში აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ „ლაიზარაზე“, „ანზორის“ შესახებ

აქტზე. მოხიბდნენ ინფორმაციებს და ფოტოსურათებს თეატრის მუშაობაზე და, ამრიგად, ამერიკისა და ინგლისის ქვეყნის სსრკ-საში სისტემატურად ქვეყნდებოდა ცნობები ს. ახმეტელის ახალ დადგმაზე.

და ბოლოს — ერთი ფაქტი, რაც ნათელს მჭენს ს. ახმეტელის დამოკიდებულებას კ. მარჯანიშვილისადმი.

წმობილია, კ. მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან 1926 წელს წავიდა და მის ადგილზე დაინიშნა ს. ახმეტელი, რომელმაც 9 წელი უხელმძღვანელო თეატრს. კ. მარჯანიშვილი არასოდეს ცმაყოფილებდებოდა მიღწეულით, მუდამ ახალს, უკეთესს ქებდა და, ჩემი აზრით, ძირითადად მისმა ასეთმა სასიათმაც განაპირობა რუსთაველის თეატრიდან წასვლა. მარჯანიშვილის და ახმეტელის შემოქმედებით განხეთქილება არასოდეს არ გადასულა კერძო ინტერესებში, ერთმანეთისადმი უპატივიცემულობასა და სიძულვილში. ორივენი ფანატიკურად იყვნენ შეყვარებული სამშობლოზე, მის ეროვნულ თეატრზე. კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის მხატვრული დაპირისპირების არაფერი წაავსო ქართულ თეატრს, პირიქით, ამ შემოქმედებითა შეჯიბრმა ქართული თეატრის ისტორიაში შექმნა „ოქროს ხანა“. ს. ახმეტელის მიერ კ. მარჯანიშვილის დიდ პატივისცემის ერთი ასეთი ფაქტი შემიძლია მოვუთხრო მეტიხელებს:

1935 წლის თებერვალსა თუ მარტში მოსკოვში ჩემთან ბიზნისი მოვიდა უცნობი მოქალაქე, რომლის გვარი აღარ მახსენდება. გამეცნო როგორც „საბჭოთა თეატრალური ენციკლოპედიის“ პასუხისმგებელი მდიანი და მთხოვა მეკისრა „ენციკლოპედიისათვის“ მასალების მომზადება ქართულ თეატრალურ მოღვაწეთა შესახებ. დავთანხმდი. მან მიმიყვანა „ენციკლოპედიის“ მთავარ რედაქტორ ბოიარსკისთან. გაავფორმეთ შრომითი ხელშეკრულება და ამ დავალების შესასრულებლად ჩამოვედი თბილისში. პირველყოფილსა ს. ახმეტელთან მივედი, გაეცანი ჩამოსვლის მიზეზი. მან წამიყვანა საქართველოს განათლების კომისარიატში, სადაც შედგა სია იმ თეატრებისა და მოღვაწეებისა, რომელთა შესახებაც „ენციკლოპედიაში“ წერილები უნდა დაემუშავებინათ. სხვადასხვა პირებს დავვალა ამ წერილების დაწერა. კ. მარჯანიშვილზე წერილის შექმნა მივდიო იმ დროს ყველაზე ცნობილ, ნიჭიერ თეატრმცოდნე შ. დუღუაჩას. მე და ახმეტელმა მისი წერილი ერთად წაეთვითეთ. ახმეტელი აღმფრთხილდა, იმ წამსვე ტელეფონით დაუკავშირდა შ. დუღუაჩას და აღვღვევით ელაპარაკა. საჭმეს ისაა, რომ წერილში კ. მარჯანიშვილის რეჟისორული მოღვაწეობა შეფასებული იყო როგორც უღიგო, წერილობერვაზიული ესთეტიზმის წარმომადგენლისა და სხვა კიდევ რაღაც ამის მსგავსი. ს. ახმეტელმა ორჯერ დაუბრუნა წერილი შ. დუღუაჩას და აიძულა სწორად და ობიექტური შეფასება მიეცა კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობისათვის. ეს პატივად ფაქტაც ნათელყოფს, რომ „ბრძოლა“ ამ ორ რეჟისორს შორის მხოლოდ პრინციპული და მხატვრულ-შემოქმედებითი ხასიათისა იყო. დაბოლოებული მასალები ჩაიკრიბა მოსკოვში და „ენციკლოპედიის“ რედაქციას ჩაებაბრ. თუ რა ბედი ეწია შემდეგ ამ მასალებს, არ ვიცი.

იცოცხლე!...

ამბეტელის მძ წლის იუბილე დიდი რეისორის არადროს არ გადახდელი დაბადების დღის კიბნიც არის და გარდაცვალების არშესრულებული რეკვიემის მიგვიერეც.

ამ ორმა გრძობამ მიგვიყვანა რუსთაველის თეატრის დარბაზში, რათა განსვენების განხორციელებით ცოცხლებმა დაფიხსომოთ: ძვირად უკდება საქართვლოს შინაგანი სულიერი კიშპი!

ერთმანეთი გაავფრთხილოთ, რომ ერის ერთი კაცის გულმრუდობაც კი მთელი ერის ხულის დევნას ვერსად წაუღა.

თვალი არ დავხუჭოთ ჩავლილ ცოდვაზე, რათა ძილში არ მოგვეპაროს ჩასაფრებული ცოდვიანობა.

გვამინებდეს, რომ ერთი ფეხწყაცდენილი პაპის ავკაცობას მრავალ შვილიშვილს წააყვედრებენ.

ვინათო იმაზე, რაც არაოდეს არ გაქარვდება: თავი აღარ შევყოთ უზნეობის საფანეში და თუ მაინც დავიღუპებით, მხოლოდ ისე, რომ შვილებმა მშვიდად იყოცხოონ.

ამიტომ ვამბობთ: დაე, ამბეტელის დაბადების კიბნი და სიკვდილის შესანდობარი ყოველი ქართველი ხელოვანის სიფიხსისა და შემოქმედების სიწმინდის მასანდალ იქცეს.

სამშობლოსათვის თავდადებულთა ნიჭინდის სავანემ კი ხანდროს დარბაზული საფლავიც ფიქრით შეისახაროს და თავდახრილმა ქართულმა თეატრმა დაკვრებით თქვას:

— ვიციცხლებ და გაცოცხლებ!..

ოთარ ავაბა



მთხი ნელი ახეხებელთან

ვალერიან დოლიძე

ჩრსპუბლის დამსახურებელი არტისტი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

დაზივიზარი შიხვიდა



ჩრველი შობებულება. 1931 წელი. თბილისში ჩამოსვლისთანავე უნებური მოწმე გაგზდი ია ვკალაძის ქუჩაში მოულოდნელი სიკვდილისა. გაოგნებული გავყვი რუსთაველის პრისპექტს. ჩემი ყურადღება მიიპყრო კედელზე მიკრულმა აფიშამ: „ანზორი“. წარწერამ ფიქრით გადამისროლა ბათუმის თეატრში, სადაც მუშაობდა ჩემი უფროსი მეგობარი, მსახიობი, შემდგენი ცნობილი დრამატურგი გრ. ბურძინიშვილი. მას ბევრი რამ კარგი უამზნია ჩემთვის ამ სპექტაკლზე. ფიქრმა გამიტაცა და ვერც კი შევამჩნიე, როგორ აღმოვჩნდი ჩემი თანაკლასელის იგავე გაბუნას წინაშე.



მასთან შეხვედრის სიხარული კიდევ უფრო გამოორკეცდა, როცა გავიგე, რომ იგი რუსთაველის თეატრში ადგილკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ტყვილად კი არ ყოფილა ნათქვამი — „სადაც არის ზედი ზენი, იქ მივიყვანს ფეხი შენი“.

სწორედ მასთან შეხვედრის წყალობით მოხდა ისე, რომ მარჯანიშვილის თეატრში სამუშაოდ ჩამოსულმა რუსთაველის თეატრში ამოვყავი თავი. ჩემს სიხარულს სასწავლო არ ჰქონდა, როცა მცირედი გამოცემის შემდეგ ავაკი ვასაძემ გამომიცხადა — ჩარიცხული იქნები სტუდიაში და აგრეთვე სცენის თანამშრომლადაცო. მეორე დღეს, შეთანხმებისამებრ, ზუსტად 11 საათზე გამოვესადიე თეატრში. მოგზალებით შევედი სარეპეტიციო დარბაზში, სადაც, ჩემდა განსაკვირვებლად, უკვე ერთად თავმოყრილ ასამდე მსახიობს მოეკარი თვალი. მზიარული და მეგობრული ატმოსფერო სუფევდა. ამოდ ვცდილობდი შემიგონო, თუ რომელი იქნებოდა მათი ამხრობი. ყველა დიდ არტიტად შეჩვენებოდა. მგონა ვერასოდეს შეეძლებოდა მათ გვერდში ამოდგომა.


გაიმსა ზარის ხმა. დათვავეთ ადგილები. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შემოვიდა ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი შუახნის ხუჭუქთმანი მამაკაცი. მან უკვე თავის მაგიდასთან მისვლამდე მოასწრო მისალმებოდა ყველას. მაგად მათი მიხედვით კი უნალ შექმნას: „ბერიკაობა!“ არავისთვის არ მიიკითხავს, მაგრამ გუშინით მივხვდი, რომ იგი ჩემი სახელოვანი რეჟისორი სანდრო ახმეტელი იყო. ძალიან განვეცოფრდი, როცა მის ერთ სიტყვასაც ასივე მსახიობი თვალის დახამამე-მამა საცქისო შეუდგა. მათგან 30-მდე ახალგაზრდა ქაბარში ჩაავლეს ერთმანეთს ხელი და სახელდახელოდ მოწყობილ დაინდავარე გამოვირდინე. იტირალა მუსიკამ და 30-ვე დაიძრა რაღაც მათთვის განსაზღვრული ილიით. CTOH! დაიძახა ახმეტელმა და კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერთ-ერთ მათგანს მიუთითა — წინ გამომჩანდითო, ხოლო დამეგრეს კი მარმის დაკრა ანიშნა. შემდეგ წინ გამოვლენ ყმაწვილს უძირა: აბა მარმის შესატყვისად გაიარეო. არ ვიცი თიშმა შეიპყრო თუ საერთოდ არტიკული იყო ეს ახალგაზრდა, სცენაზე ისე გაიარა, თითქოს საკუთარი ფეხების ნაცვლად „პროტუბორი“ ჰქონოდა გაკეთებულად, მისთვის არც მუსიკა არსებობდა და არც წონასწორობა. უკმაყოფილო რეჟისორმა დაიყვირა: „გააღეთ კარები!“. როგორც კი ყმაწვილი მაგიდას გაუსწორდა, ხელით კარებისაკენ მიუთითა. მუსიკის კომპანენტებზე ახალგაზრდად უკანასკნელად ჩაიარა გრძელი კბი და კარები მიიკეტა. დარბაზში თავმჯავებულ სიცილი ატყდა. კუბებში მიცემულ იფრაქი და ცვდილობდა გარეველუიყავი თუ რა ხნებოდა. მოულოდნელად მომაქტრდა და შემიკვირა — თქვენ ვინ ხართ? ელდაჩაკრავივი წამოვიპყრი ზეზე და გამზულად ვუპასუხე:

— მე... მე... სტუდელი ვარ და თანამშრომელიც.
 — იმ ახალგაზრდების მწყობრს ხომ ხედავ, — მითხრა მან, — აბა თუ მიხვდები სიმალისდამიხვედით სად იქნება შენი ადგილი? — ეს პირველი და გადამწყვეტი ამოცანა იყო ჩემთვის. მწყირვს თვალი გადავაგულე და პირველიდან მეოთხე რიგს მივაშურე. ყოჩაღ! წამოიძახა და რეპეტიცია განვაგრძეთ. მე რიტმის შეგრძნების საკითხში და ვოკალურადაც არა მი-

წავდა რა. გარდა ამისა, სხვებისადმი მიცემულ შენიშვნებს მოხებრებულად ვიყენებდი. ასე ჩაებაზე პირველმა წყმანდებ, რომელმაც თავიდანვე მაგრძობრინ დიდი რეჟისორის მუსიკალური ბუნებისა და პირდაპირი, მტკიცე ხასიათისადმი განუსაზღვრელი პატივისცემა. შემდეგში თვითონ დადარწმუნდი, რომ რიტმი, პლასტიკურობა, მუსიკალობა და ღრმა შინაარსის შესატყვისი მკვეთრი ფორმა ახმეტელის შემოქმედების ის ერთი არსებითი ნიშანთვისებათაგანი იყო, რომელმაც სამარდისოდ უკვდავყო დიდი რეჟისორის სახელი.

„თეატრში მთვოხა მსახიობი, ჩაბე ყველა მირსახიობი მათო.“

თეატრში დიდი სამზადისია. სიმონ მთვარასი პიესა „მლეტი“ პრემიერას უახლოვდება. უკანასკნელი კვირისა დარჩა და ჩვეულებრივსაგარე ისეთი გადაბმული მუშაობა გვაქვს, რომ შენობიდან ვეღარ გადავიდით. გენერალური რეპეტიცია რომის 4 საათზე დავამთავრეთ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სწორლად დაღლილი ვიყავით, ახმეტელის მიერ დასმე განმტკიცებელი მეგობრული ურთიერთობა გვაკვლადებულვდა მსახიობი ჭალები სახლამდე მიგაცილებინა. იმ დღით ერთი მე გავაცილეთ: ამ გაცილებში თავზე დამათუნდა კიდევ გავიფიქრე — ძალზე დაღლილს შეიძლება სახლში ჩამვირის-მეთქი და შიშით, რომ წსრიგში ამხანაგებს არ ჩამოვრჩენოდი, ისევე თეატრში დაბრუნდი. მივაკითხე ჩემს საპირდავარსო, მაგრამ იგი დაკეტილი აღმოჩნდა. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა ღურსმინით გავაღე კარი. შევედი, ჩემი როლისათვის საჭირო კოსტუმთ ჩავიციე, გრძიმ გავიციე. როგორც კი სავარებლში ჩავჯექი, ძილი მომიკვდა. უკვებ სანორმალურილმა გამომადვიდა. თვალები გავახილეთ და ჩემს წინ დაცემლბულე პავლე კანდელაკი დარინაზე (იმ დროს იგი რუსთაველის თეატრის ადმინისტრატორი იყო), რომელმაც თავისი მჭექარე ხმით შემომიბტა. შემდეგ იქვე მაგიდაზე მივადებულე ლურსმანგარილო ბოქლომს ხელი სტაცა და თავის კაბინეტში შემიყვანა, სადაც ათოდვე უცხო პირი შევიდნებ. არ მიხდოდა მათ წინაშე გავაშინდულიყავ. მაგრამ პავლენ კაბინეტში კიდევ უფრო აუწია ხმას. მირჩინდა მიწა გამსე-დარიყო და შიგ ჩავვარდნილიყავი. პავლეს ბარტონმა კინადა მჭერი ჩამოხარდა... თვალზეც ცრემლები მომაწვა, სირცხვილისაგან ვიწვიდი. ჩემმა მღელვარებამ ისეთ უკიდურესობამდე მიმიყვანა, რომ ცოტაც აუღდა მაგიდაზე მდგარ სამელნეს არ ეტაცე ხელ... თავს ძალა დავატანე, უსიტყვოდ გამოვვარადი გარეთ. მოხანდა მისი ბინის ვანო ლადიძე (დასის გამგე იყო მანში), ყველავფერი ვუამბე და მასთან ერთად ახმეტელთან შევიდი კაბინეტში. ბოღმით გავგულვლა, როგორც იყო გავაგე-ინე საქმის ვითარება. მანაც კარგად დაზათიანდა შემომიყვირა — რატომ დაარღვიე წესრიგიო. მე კი გულანუებულმა მხოლოდ ეს მოვანებრებ შეთქვა — დისკოლინის დარღვევისათვის ბოლოს და ბოლოს სასჯელი არსებობს და რა უფლება აქვს საჯაროდ გამლანდოს და შეურაცხყოფა მომამყინ-მეთქი. „ყარგი, წადი და იცოდვე წესრიგი არასოდეს დაარღვიო“, — მითხრა ახმეტელმა. სასტიკად აუღლებულ გავე-მართე იქვე თავმოყრილი მსახიობებისაკენ. ამ დროს ამხანა-



გება, რომლებიც თურმე შორი ახლო ისმენდნენ ყველაფერს, სწრაფად ამოყვანეს მეორე სართულზე. ახმეტელის კაბინეტის კარები მიკეტელი იყო, მაგრამ ყველაფერი გარკვევით ისმოდა: „მითხარი, რა უფლება გაქვს ჩემს მსახიობს უცხო ხალხში შეურაცხყოფას რომ აყენებ, რა უფლება გაქვს შინაური მზავი გარეთ გაიტანო, რა უფლება გაქვს დაღლილი ბავშვი რეპეტიციის წინ ააღლეო?!“ — ყვიროდა ახმეტელი. ბოლოს მან საზგასმით თქვა: „დაიხსომეთ ყველამ, შინაურმა და უცხო. თეატრი მსახიობისაა, თეატრში მეფობს მსახიობი და ჩვენ, დაწვეული ჩემგან დამთავრებული მეუზოვით, ყველა, ყველა და ყველა მსახურნი ვართ მსახიობისა“.

სანდრო ახმეტელის მიერ ნათქვამ ამ სიტყვებს ყოველთვის რეალური, ფაქტიური გამოხმაურება ჰქონდა თეატრში. უოუდ, ესევე ერთი არსებითი საფუძველი იყო იმისა, რომ მსახიობი მუდამ საზეიმო განწყობილებით მოქმედებდა თეატრში და ეს საზეიმო განწყობილება თავისი ამაღლებული, კრილოზობილი მომხიბვლელი ხელოვნებით შთამაგონებლად გადაქმნდა მყურებელთა ფართო მასებში.

„აღამიანი! — რა ავათად თლიდა მს სიტყვა“

1932 წელს გასტროლებზე ვიწყობოდი ბათუმში. სპეტაკლ „ლამბას“ მესამე მოქმედებაში ემ. აფხაიძის მიერ გასრულები დამბაჩით უნებურად სასიკვდილოდ დაიჭრა ელ. კუპრაშვილი. მომხდარმა შემთხვევამ განაგმა შექმნა რო-

გორც სცენაზე, ისე მყურებელთა დარბაზში. კულისებიდან ახმეტელის ხმა შემოგვეხმა. სანდროს უნდოდა როგორმე ფარდის დახურვის გარეშე გაეყვანა სცენიდან ალ. კუპრაშვილი, ჩვენ კი ფარდაგახსნილი სცენაზე, მყურებლის თვალწინ, ვერაფერს ვახერხებდით. ნახევრად გონდაკარგულმა კუპრაშვილმა, როგორც იქნა, მოახერხა კულისებში გაძვრომა. ჩვენ კი ისღა შეენიშნეთ — როგორ აიტაცა იგი ს. ახმეტელმა და შავ ფარდებში გაუჩინარდნენ. მეორე დღიდან, მისი განკარგულებით ორ-ორი მსახიობი მორიგეობდა 24 საათს. თბილისიდან მოიწვიეს სახელგანთქმული ექიმები.

ს. ახმეტელმა ასეთივე დიდი გულისხმიერება გამოიჩინა 1933 წელს მოსკოვსა და ლენინგრადში გასტროლების დროს, როცა ემ. აფხაიძე ავადმყოფობის გამო დავტოვეთ სამკურნალოდ. საერთოდ არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც ნათლად მეტყველებს ახმეტელის დიდ მეგობრულ გრძობებზე, ერთგულებზე, კუმიანიზმზე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მსახიობისადმი, მაგრამ არ ვიქნებოდით მართალი, რომ მისი კუმიანურობა მხოლოდ მსახიობისადმი დიდი ყურადღებით განგვესაზღვრა. ადამიანისადმი სიყვარული ახმეტელის პირადი და შემოქმედებითი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა იყო. და რამდენადაც მისთვის ყველაზე უმაღლეს და ძვირფას მიწინასწარმოადგენდა სიტყვა „ადამიანი“, იმდენად მომთხოვნი იყო მის მიმართაც. მას შეეძლო არაჩვეულებრივი ერთგულება, მეგობრობა და სიყვარული, შეეძლო წყრომა და სიძულელიც, როცა საკმე ეხებოდა ადა-



მიანური ღირსებების შებღალვას. იგი უმღეროდა ადამიანის იმ სულიერ სიღამაზებს, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი თვითონ იყო. გორაკის ცნობილი ფრაზა: „ადამიანი — რა ამაყად ეღერს ეს სიტყვა“ მისი ცხოვრების ეპიგრაფად გამოდგებოდა.

1933 წლის თეატრალური სეზონია. მეტად მძიმე და დაძაბული მუშაობის შედეგად, როგორც იქნა, მივალწიეთ „ინტერანოსის“ („ყაჩაღები“) გენერალურ რეპეტიციას. იგი საბოლოო იყო და წინა შეცდომების გამოსწორების მიზნით ტარდებოდა.

რეპეტიცია დაიწყო სრულ მ საათზე. პირველი მოქმედების პირველივე სურათი საოცარი ტემპითა და რიტმით იწყება, რომელიც თანდათან კიდევ უფრო ძლიერდება და ფინალში კულმინაციას აღწევს. თვითეული როლის შემსრულებელი ნაწარმოების დედაზარს ისე მკაფიოდ აღიქვამს და ახერხებს ამ აზრის გადმოცემას, რომ მაყურებელი ერთსადა იმავე დროს კიდევ გრძნობს თეატრში ყოფნას და კიდევ ეთიშება გარე სამყაროს.

მეოთხე მოქმედებაში, აკლამაში მამის ცოცხლად დამარხველ შეილს — ფრანცს, მორიგლის მსგავსად, საკუთარი თავისათვის ღირსეული განაჩენი გამოაქვს და დაშნით იკლავს თავს. ჩვენ, ყაჩაღების როლების შემსრულებლებს, კარგად გვახსოვს კარლის განკარგულება: „ლოგინიდან გადმოთავით, თუ მძინარე ნახო, ან თუ ვნებით დამტკბარი“ სუფრიდან წამოიგდევ თუ ჭეჭობდეს. აპკლიჯე ჯვარცმას, თუნდაც მუსლმოყრლი ლოცულობდეს... ცოცხალი მომგვარეთ მე იგი!“ ამ განკარგულების შესასრულებლად, შვაიცერის მეთაურობით, ყა-

ჩაღების მთელი ჯგუფი სასახლეს თავს დავესხით. როგორც კი დარბაზში შემოვიჭერთ, ფრანცი უკვე სულამობდილ დაგუხვდა. შვაიცერმა (ელგუჯა ლორთქიფანიძე) ხომ პირობა მისცა კარლოსს: „ან ორივეს ერთად გვიხილავ, ანდა ვეღარც ერთსო“. ხოლო ახლა, როცა მან უკვე განგმირული ნახა ფრანცი, მისი ხანედ წამოიძახა: „მეცდარია იგი, მამ მეც ცოცხალს ვეღარ მიხილავ“ და გულში ისე მძლავრად ჩაიყა მახვილი, რომ უნებურად მართლა ჩაიყეცა. მოულოდნელმა სცენამ განციფერებაში მოგვიყვანა მთელი დასი. წუთიანი პაუზა დამყარდა. უცებ ახმეტელმა პარტერიდან დაიყვირა: „ნუ გემინია, ელგუჯა!“ იქვე, ახლო მჯდომნი გაოცებულნი ვიდექით. თვალის დახამხამებაში ვეებერთელა გატაკი სანდროს მკლავებზე ესვენა. მთელი თეატრი აბობოქრდა. ახმეტელმა მკლავებზე გადაწვილი ელგუჯა ფოიემი გამოიყვანა, ლადო მესხიშვილის დიდი პორტრეტის წინ მდგარ გრძელ სავარძელზე წამოაწვირა.

ფეხებთან ჩატეკდა და გულდასმით დაუწყო სინჯვა მტკინეულ ადგილს. ამ დროს სასწრაფო დახმარებაც მოვიდა და ელგუჯა საავადმყოფოში წაიყვანეს. სამი თვე იწვა იგი და ამ ხნის განმავლობაში ახმეტელი, შეიძლება ითქვას, არ მოსცილებია მას.

თეატრში კი არ მსახიობებან, არამედ მოღვაწეობან

ერთ დღით, ჩვეულებისამებრ თავი მოვიყარეთ სარეპეტიციო დარბაზში. ხელმძღვანელის მილოდინში სულ უფრო ვღელავდით. ახმეტელს არასოდეს სჩვეოდა დაგვიანება და



ითქოს გული გვიგრძობდა რაღაც უსიამოვნებას. ბოლოს, როგორც იყო, ისიც მოვიდა. სწრაფი მისალმების შემდეგ თავის საჩუქრის მფლობელს მადლობა გადავხადე და დასასრულად კამოვიხედე, ჩვენც ასე უჩუქხე მდგომარეობით, რაღაც სხვა მითითებით სურთქვა შეგვეკრა.

— დაბრძანდით! — სთქვა მან და ისევ გამოშვებულად გადმოვიხედე. ყველამ ჩვენი ადგილი დავაკვირე. ადამიანები აიასკვრიანა, — დაიწყო მან თავშეკავებული მღელვარებით, — არსებობენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ მსახურებენ და არა ისეთებიც, რომლებიც თავიანთ სამსახურში მოღვაწეობენ.

თეატრი და მით უმეტეს ჩვენი თეატრი, ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მოსამსახურეებს კი არა — მოღვაწეებს საჭიროებს. — შეჩერდა, ისევ გადმოვიხედე. თვითონვე მიხედა, რომ იმის გარდა, ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნოდა, ნათქვამი ვერ გაეცო.

— აი, ახლა, ამ წუთში კომისარიატიდან მოვდივარ, — განაგრძო მან, — დრო დამკარგავინებს იმისათვის, რომ ერთ წუთს მსახიობს კინოში თამაშის ნება დაერთო. მე მისი კინოში მუშაობის აკრძალვის უფლება არა მაქვს, მაგრამ რუსთაველის თეატრის სკოლაში გაზრდილი მსახიობს, რომელსაც ჯერ ახალი ხელოვნებისა არა გაეგება რა, კინოსთვის ვერ გაემტებ. ჯაჯანაშვილი!.. წამოიძახა მან და ამ გვარის გაგონებაზე ჩვენი თვის ყველაფერი ნათელი გახდა. ვიცოდით, რომ ეს მსახიობი მიწვეული იყო კინოფილმ „დარიკოსი“ დარიკოსის როლის შემსრულებლად. ჯაჯანაშვილი წამოდგა, დანაშაუვსებით თავაჩინდრული ერთ ადგილას გაქცა.

— თუ გსურს წადი კინოში, — მიმართა მას ახმეტელმა, — მე არ დავიშლი, წადი მხოლოდ... და ეს სიტყვა „მხოლოდ“ ისე მაკვიროდ და ხაზგასმით იქნა წარმოთქმული, რომ ყველასათვის გასაგები გახდა, რა იგულისხმებოდა მასში. ისევ პაუზა. ჩვენ ყველას დაგვეფუძა მისი განწყობილება. ათქვამის ამას ელოდათ, ახმეტელმა განკარგულება გასცა მოგზადებულიყავით რეპეტაციისათვის. სურათი, რომელიც უნდა გაგვემოვრებინა („ინტერანოსი“ — სცენა ლუდხანაში) სწორად ამგვარ განწყობილებას მოითხოვდა. უმაღლესი სიყვარული და მოგვსადეთ სცენური ბრძოლისათვის.

სცენა შესაფერისი განწყობილებით ჩატარდა, ამ სცენისა და საერთოდ მთელი სამკეტაკლის შესახებ ბევრი კარგის გახსენება შეიძლება, მაგრამ ამჟერად უნდა დავიხსენოთ თავისი კინოს შესახებ ახმეტელის შეხედულებებზე.

გარსობიერ და დიდებულებანი შემოქმედს, როგორც ჩანს, ელემი ჩაჩუნდა მ. ჯაჯანაშვილისადმი გამოსატული წყრობა. 15 წუთიანი შესვენების დროს ახალგაზრდების ჯგუფს რეჟისორისად და ლიბოლით მოვებართვა: მერიკო ნაწყენია ჩემზე ხომ? მაგრამ ჩემი საყვედური თქვენც ეკუთვნით. არ იწონება გონების გაფანტვა. ერთ საცქერს უნდა იყო მინდობილი და მთელი არსებით მას უნდა ეკუთვნოდეთ. სხვაგვარად

არ შეიძლება, თუ გინდათ ხელოვნებაში გაიხაროთ. მით უმეტეს, შეუთავსებელია ერთდროულად თეატრსა და კინოს შორის შაობა. ახლა, როცა კინო ახალ-ახალი აღმოჩენების გზას ადგას და კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი, მისსავე სასიყვარულო თავისუფლებაში, ჩვენი თეატრის მსახიობი შეიძლება სრულიად დაინტერესდეს და მოწყდეს ჭეშმარიტ ხელოვნებას. კინო — ეს მითრავი ფოტოგრაფიაა. მასში არჩეული სიციხეცაა. უფრო სწორედ, კინო ჯერ კიდევ ოპიუმია, უცქერ და თითქოს ნაყრდები, მაგრამ სიზმარით მოჩვენებითად მოქმედებენ სხეულები. ისინი არაბუნებრივად, პროპორციულად ჩვეულებრივზე ორჯერ გადიდებული ან პირიქით — დაპატარავებული მოსჩანან გვარსზე. რა თქმა უნდა, მას ბევრი უპირატესობა გააჩნია, მით უმეტეს, როცა იგი დაეუფლება უმაღლეს ტექნიკას — ფერს, ბუნებრივ ხმას, გამოსახულების რელიეფურობას, კადრის მიხედვით ყნოსვის, შევების და ტემპერატურის შეგრძობას; უფრო მეტიც: მას უკვე გააჩნია სივრცე, აგრეთვე გადიდებული დეტალებით უახლოვდება მაყურებელს. კადრის გამახვილება — ეს ყველაზე დიდი აღმოჩენაა კინოში. ის მაყურებელს პირდაპირ კარნახობს გამზადებულ აზრს, რეჟისორის ჩანაფიქრს. ყოველივე ამით კინო უთვალავ მაყურებელს მიიზიდავს, მაგრამ ის ჯერ მაინც მოძრავი ფოტოგრაფიაა და ამით შედარებით უძლეურია თეატრთან.


თეატრი რეალისტური, ნამდვილი, ცოცხალი ხელოვნებაა. მაყურებლის წინ გამოდის არა მოჩვენებითი ზმანებანი, არამედ ცოცხალი ადამიანები, ბუნებრივი ხმითა და ხალხის გამოთქმულიყვლებით. მაყურებელი და მსახიობი ერთმანეთს პირდაპირ უცქერენ ისე, როგორც ძუძუთი დანაყრებული ბავშვი და ბედნიერი დედა. ისინი უშუალოდ ჭეშმარიტებით ვალერსებიან ერთმანეთს.

თეატრი მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთგანხილვისა და ცოცხალი დამოკიდებულების კერაა.

მართალია, კინოს უკვე გააჩნია სივრცე, რომელიც მოიცავს ბუნების ყოველგვარ სიმშვენიერეს: კლდე, ტრამალებს, ზღვას, ცას... მას ფარგოდ შეუძლია მოძრაობა ადგილისა და დროის მიხედვითაც, მაგრამ მთავარი და აუცილებელი — მსახიობია, რომელიც მხატვრული სიუჟეტის გადმოცემის ხელშეწყობელი ღმერთია, ითქვამება კინოს სივრცეში, ბუნების სიმშვენიერეში და ამით მთავარი მერიკოსისთვისად მოხმანს.

ვიმეორებ, თეატრი არის ცოცხალი, მართალი. ამაშია ჩვენი უძველესობის ძალა. ამიტომ კინო ვერასოდეს ვერ დარღილავს თეატრს. დაე, კინომ იაროს თავისი განვითარების გზით, გამოავლინოს თავისი უპირატესობანი, ამით არავფერი დააკლებს თეატრს, თეატრი არასოდეს დაჰკარგავს თავის თავს და თავის მაყურებელს.

თეატრი თქვენია და მოუარეთ მას. ნუ უღალატებთ, ერთ-ერთულად მოვიდეთ, გიყვარდეთ... მერი ჯაჯანაშვილი კი გადაცეით, ნუ მემალბათ!



იგი უთააბონიდა თეატრის მხატვარს

სერგო ქობულაძე

საქართველოს სახალხო მხატვარი

ს

უსთაველის თეატრში 1932 წელს მივედი. ეს იყო „ყაჩაღების“ დადგმის წინა დღეები. სანდრო ახმეტელთან ჩემს პირველ ნამუშევარს წარმოადგენდა კოსტუმების გაფორმება „ყაჩაღებისათვის“ (შემდეგ კი გააფორმე „ნაბიჭვარი“, „მესაათე და ჭათამი“).

მისვლისთანავე დაძაბულ და მღელვარე შემოქმედებით გარემოში აღმოვჩნდი. თეატრში მკაცრი დისციპლინა, შემოქმედებითი წვა და გატაცება, ხელოვნებისადმი სერიოზული, პროფესიული დამოკიდებულება და ფანატიკური სიყვარული სუფევდა, ასეთ ატმოსფეროს თვით სანდრო ახმეტელი ქმნიდა.

მუშაობას შევედექი და მაშინვე ვიგრძენი ახმეტელის მკაფიო ინდივიდუალობა: სპექტაკლზე მუშაობის დაწყებამდე იგი სრულ თავისუფლებას აძლევდა მხატვრებს — ძუნწად გამოთქვამდა აზრებს პიესისა და დადგმის ირგვლივ. და აი, მაკეტი და ესკიზები მზად იყო. მაკეტი სტიმული იყო ს. ახმეტელის შემოქმედებითი პროცესისათვის, მხატვრული აზროვნების ინტენსიური და ლოგიკური განვითარებისათვის. იგი უკვე პერსპექტივაში ხედავდა მთელ წარმოდგენას — კომპოზიციას, მიზანსცენებს, მხატვრულ სახეებს. იწყებოდა მხატვრების „წვალაბა“. რეჟისორი დაუსრულებლად მოითხოვდა მაკეტის ახალ-ახალ ვარიანტებს, შეჰქონდა კორექტი-

ვები მანამდე, ვიდრე თავისი რეჟისორული პარტიტურის შესატყვისსა და ზუსტ დეკორატიულ საფუძველს, სპექტაკლის ფერწერულ სამოსიელს არ მიიღებდა.

1935 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობას შევედექი. ვაჩვენე მას ამ სერიის პირველი ორი ნაწარმოები. მაშინ ახმეტელმა გამიზიარა „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის ჩანაფიქრი. განზრახული ჰქონდა შოთა რუსთაველის პოემის დადგმა არქაული სისადავით, მონუმენტური ფორმებით, ანტიკური ხელოვნების კლასიკური მკაფიობით. იგი წინააღმდეგი იყო მძიმე, დრაპირებული ჩაცმულობისა, ფიქრობდა პოემის გმირების შემოსვას ისეთი სადა და მარტივი ტანსაცმელით, რომელიც გამოავლენდა სხეულის სიძლიერეს, კუნთოვნებას, პლასტიკას.

ასეთივე კოსტუმები მოითხოვა მან კარლ მოორისა და მისა თანამებრძოლი ყაჩაღებისათვის, რათა გმირთა სულიერი სიძლიერე, ბუნტარული მიზანსწრაფვა თვით სხეულის ძალაში, კუნთოვარ ფიგურებში გამოეხატა.

სანდრო ახმეტელი მონუმენტურ თეატრს ქმნიდა. მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის ახლობელი იყო შილერი. ალბათ ამიტომაც მუდამ ოცნებობდა სოფოკლესა და შექსპირის დადგმაზე.

ამეტელი მოითხოვდა ისეთ დეკორაციულ დანადგარს, რომელიც დიდ სცენურ სივრცეს შექმნიდა. სივრცის სამხედრო განზომილებას იგი ავსებდა მოჭმელებით, პლასტიკური პირამიდებით, კომპოზიციით, მიზანსცენებით, იგი დეკორაციების გათამაშების სწორუპოვარი ოსტატი იყო. დანადგარზე არ ჩებოდა არც ერთი გაუთამაშებელი წერტილიც კი. დადგმის პროცესში მისი შემოქმედებითი ყურადღება არასოდეს წვრილმანდებოდა, არ მისდევდა დეტალიზაციას, პირიქით, ფართო განზოგადებებისაკენ მიილტვოდა. ამეტელს გააჩნდა არსებობის გამოკვეთის საოცარი ნიჭი, პიესის დედააზრის გამოძერწვისა და მისი გაშიშვლების უნარი. მისთვის არ არსებობდა მეორეხარისხოვანი სიტუაცია, მეორეხარისხოვანი გმირი, ყველაფერი მალალ დონეზე, წინა პლანზე იყო წამოწეული. იგი ზომ მასობრივი სცენების დიდოსტატი იყო. მასის თვითეული მონაწილისათვის ნაპოვნი ჰქონდა ინდივიდუალური გამომსახველობითი შტრიხი, პლასტიკური მონახაზი, რომლითაც ხსნიდა შინაგან არსს, პიროვნულ ბუნებას. ყოველივე ეს მოცემული იყო პარმონიულ მთლიანობაში.

ს. ამეტელი ავლენდა ფართო განათლებას იმ საკითხებში, რომელნიც წამოიჭრებოდნენ ამა თუ იმ მხატვრული მოვლენისა თუ პრობლემის განხილვისას. იგი საკუთარი კონცეფციების, იდეებისა და შეხედულებების ჭეშმარიტი მოაზროვნე იყო, არ ცდილობდა თავისი შეხედულებების განმტკიცებას სხვისი აზრების, გამოკვლევების თუ წინგების დახმარებით. ცოდნას, შეხედულებებსა და თვით ჭეშმარიტებასაც კი ძირითადად საკუთარი აზროვნების ჭიდან ავსებდა. ამიტომ იყო მისი შემოქმედება ესოდენ თვითმყოფადი, განსხვავებული, ორიგინალური.

სანდრო ამეტელი — როგორც ძლიერი პიროვნება, ფოლადისებური ნებისყოფისა და მაღალი ინტელექტის შემოქმედი, თავისი ნიჭითა და გაქანებით, განუზომლად მაღლა იდგა. ამიტომ ძლიერ შემოქმედებდა იგი დასზე და მაყურებლებზე. დასის უმრავლესობა მისდამი ფანატიკური რწმენით იყო გამსჭვალული.

ამეტელი იყო თეატრის სულისჩამდგემელი, მისი ბატონ-პატრონი, ამიტომაც იყო მისი თეატრი მონოლითური, ერთიანი, პარმონიული.

პირადად ჩემთვის კ. მარჯანიშვილის და ს. ამეტელის თეატრების დამოკიდებულება — ეს იყო ჯანსაღი შემოქმედებითი ჭიდილი, ხელოვანთა შეჯიბრი, სტიმული დაუცხრობელი ძიებებისათვის.

ს. ამეტელი არასოდეს მინახავს უგუნვოდ, დაღვრემილი. იგი ყოველთვის ელვარე, ძლიერი და მშფოთვარე იყო. მისი მატორულობა მთელ დასს ამოძრავებდა, ამძლავრებდა, რწმენას განუმტკიცებდა. როცა თეატრიდან წასვლა მოუხდა, მაშინაც კი შემოქმედებითი იდეებითა და პერსპექტივებით იყო აღსავსე.

თეატრში მოღვაწეობის მანძილზე არა ერთ გამოჩენილ რეჟისორთან მიმუშავია, მარტო თბილისში კი არა — მოსკოვშიც, მაგრამ პირადად ჩემთვის სანდრო ამეტელი ყველაზე დიდი რეჟისორია, ყველაზე თვითმყოფადი პიროვნება და შემოქმედი.

ა ლ ა მ ი ა ნ ი , მ ო ქ ა ლ ა ქ ე , შ ე მ ო ქ ე ე ლ ი

ბავლე კანდელაკი
საქ. სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე



უთაისიდან ჩამოსულმა სცენისმსოფერემ 1920 წელს (მაშინ უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრანომიული ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი), რუსთაველის თეატრის სხვა სპექტაკლებთან ერთად, ვნახე პრემიერა „ბერლო ზმანია“ (ს. შანშიაშვილის პიესა, დადგმა ს. ამეტელისა). მაშინდელ უფერულ სპექტაკლებს შორის „ბერლო ზმანია“ თავისი ფერადოვნებითა და სიახლით, დღემდე ჩამჩნა მესხიერებაში.



მამინ სამას (როგორც წინათ უბრალოდ მიემართავდით მას), პირადად არ ვიცნობდი. იგი ჩემთვის მხოლოდ „მერდო ზმანას“ დამბეჭდილი რევიზორი იყო, რომელზედაც მამინვე შეიქნა ლაპარაკი.

ა. ამბეტელს ამ თეატრში დაუდგამს აგრეთვე ა. ცაგარის „რაც გინახავს, ევვარ ნახავ“, რის შემდეგ, თვით დასის შემადგენლობაში ახრთა სხვადასხვაობის გამო იგი თეატრიდან წასულა.

საქართველოში სამჭობა ხელისუფლების დამყარების პირველსავე ხანებში ჩვენი კულტურის დიდი მნიშვნელოვანი ავაცი ფაღავას ინიციატივით, გრ. მიქელაძისა და სხვა გააორხინილ მოღვაწეთა აქტიური ხელშეწყობით (გრ. მიქელაძე, ამგვანად ცნობილი რევისორი, თორავნის თეატრის დიდი მყარად და ენთუზიასტია) თბილისში დაარსდა დრამატული სტუდია, რომელსაც მ. დროსიათვის პედაგოგთა კარგი შემადგენლობა ჰქონდა მ. ქორაძის, ნ. შივაკაშვილის, გ. ჩუბინაშვილის, მ. დავითაშვილის, კ. გამსახურდიას, ე. ბენდერაგოვი-ქვინიას, ი. კრუჩინინის, ფ. შარლენიანის, თ. ბახუტაშვილ-შულგინას, მ. ფალკონისა და სხვათა სახით. თბილისში ჩამოვიდა კ. მარჯანიშვილიც. სტუდიაში ნიჭიერმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. მათ უკვე იცოდნენ, რომ როგორც კ. მარჯანიშვილი, ისე ს. ამბეტელი პედაგოგებად იმუშაებდნენ ავ. ფაღავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატულ სტუდიაში.

პირველი კურსი შემდგენილია და-კომპლექტად: თ. წულუკიძე, მ. მრეველი-შვილი, ე. კედეა, ე. თოფურიძე, თ. თვალიანი, ნ. დლოძიძე, ე. ციხისთავი, ნ. ჭიჭინაძე, ა. ალექსი-მესხიშვილი, დ. ლორია, ი. ჯორჯაძე, გ. გიბიაშვილი, პ. კობახიძე, მ. ბერიანიშვილი, ლ. ციციანი, გ. ხელიანი, შ. მანავაძე, ი. ქანთარია, პ. შურულაძე, ავ. ხორავა, ვ. პატარაია, ბ. მალაქელიძე, ე. ანაშიძე, შ. ჩხეიძე, ბ. სვანი, გ. მიქელაძე, ს. სულაკაური და ამ სტრუქტურის ავტორი (ეს ჯგუფი 1924 წელს თბილისად იქნა მიღებული თეატრში).

სტუდიის პრაქტიკულ მეცადინეობაში, თავისუფალ მსმენელებად ჩაებნენ მსახიობები: ბ. ჭავჭავაძე, ბ. შავეიძე

ლი, ავ. ვასაძე, მ. ლორთქიფანიძე და სხვები.

კ. მარჯანიშვილი და ს. ამბეტელმა აქვე, სტუდიაში სცადეს სარევისორო ჯგუფის ჩამოყალიბებაც, რომელიც 7 სტუდიელისაგან შესდგებოდა.

მეცადინეობა სარევისორო ჯგუფში მეტად უღელვური აღმოჩნდა. რამდენიმე გავეთვლილი ჩატარების შემდეგ, კ. მარჯანიშვილი და ს. ამბეტელმა გამოგვიცხადეს, რომ სარევისორო ჯგუფის არსებობა გაუმართლებელია ვიდრე სამსახიობო ოსტატობას არ დაუფლებითო.

აღუქმადრე ამბეტელი კ. მარჯანიშვილის მგობრული დამოკიდებულებით განმეცხადებოდა, ფრთებშეხებით, თავდადებით შეუდგა თეატრში მუშაობას. იგი ახალგაზრდობის დიდი ჭომაგი იყო, უყვარდა და ჩვენც ამითვე ეუპასუებდით მას. მისი უბრალო დამოკიდებულება ყოველ ჩვენთანგან ამხნევებდა, მომავლის იმედს უწერავდა.

თუ რაიმე გიტირდა — საშა მყისვე გაიზიარებდა, გამოგვხმსურებოდა, თავის მივრე ბუჯუტიდანაც და დავგებარებოდა, ხელს გაგიმართავდა ის, რომ თავს შეურაცხყოფილად არ იგრძობოდა. ყველამ მიცხად, საშა თუ ვინმეს მივხელობოდა, პირობას მისცემდა, არასოდეს უღალატებდა, ორჭოფობა მის არ ჩვეოდა.

იგი ბრძოლის დროსაც რაინდი იყო. ს. ამბეტელის ყოველი რეპეტიცია იმდენად საინტერესო და მომხიბველი იყო, რომ ისიც კი, ვინც წარმოდგენაში არ იღებდა მონაწილეობას, თვალს ვერ მოწყვეტდა მის მხელოლობას და უნებლიე მონაწილე ხდებოდა. რამდენადაც უბრალო, ფაქიზი და მგებობრივი იყო იგი პირად ცხოვრებაში, იმდენად მიმოხივნი, შეუპოვარი და მყავილი გაბოდათ რეპეტიციებზე. მისი გენერალური რეპეტიციები ხომ თავისებური ზეიმი იყო, მის მიერ შექმნილი სპექტაკლები მედამ მთლიანობით, მონოლითურობითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა.

როგორც ცნობილია, 1926 წელს რუსთაველის თეატრს გაემიჯნა კოტე მარჯანიშვილი. 1927 წელს კი მსახიობთა ერთი ჯგუფი წავიდა თეატრიდან, რაც მწვავედ გაინაცადა თეატრში

დარჩენილმა კოლექტივმა დააარსა ს. ამბეტელმა.

სპექტაკლში „ახალი“ ერთი ასეთი ეპიზოდური შეიტანა მან:

„ჯაენიღელუმმა ტყვედ ჩაიგდეს ინგლისელი ჯარისკაცი. იგი მოიყვანეს პარტიზანთა ბანაკში და მოინდომეს მასთან მოლაპარაკება, მაგრამ არავინ იცოდა მისი ენა, ხოლო ინგლისელს არც ქართულისა და არც რუსულის არა გაგებოდა. პარტიზანებმა ბევრი იწყეს, ათასნაირად მიუდგნენ ამ დამფრთხლად ჯარისკაცს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მასთან გამოლაპარაკება.“

მამინ ერთ-ერთმა პარტიზანმა — ახმამ, მიმართა ინგლისელ ჯარისკაცს: „შენ, ეი, გესმის... ლდინ“, ინგლისელი მყისვე გაიმორკვა და დიდის აღტაცებით შეტყვირა „ლდინე ურა, ურა!“. პარტიზანების სიხარულს სასულდარი არ ჰქონდა, ყველა გაიბიძხა „ლდინე, ურა, ურა!“ სცენის ზეიმი პარტიზომი დამწერეთა შქუხარე თვაციაში გადაიზარდა.

ს. ამბეტელის შემოქმედებიდან ბევრი ასეთი ეპიზოდის გასწვება შეიძლება. გაეხიხნოთ თუნდაც მისი დამსამუსიკალური სპექტაკლების დადგმაში.

ს. ამბეტელი წლების მანძილზე თბილისის კომუნისტური პარტიის ობლის ხელმძღვანელი რევისორი იყო. მას კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით საპერო ნაწარმოებებიდან ხშირად დაუდგამს ნაწყვეტები, მთელი მოქმედებები.

მე, კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტს, ბედნიერება მქონდა აქაც მეშუშაუნა მასთან და მონაწილეობა მიმიკლო მთელ რიგ საპერო ნაწყვეტებში, ცალკეულ მოქმედებებში. მინდა გაეხიხნო ისიც, რომ ს. ამბეტელმა სასოფადოებრივ საწყისებზე არსებულ ქართულ საპერო სტუდიაში დადგა ლეონკავალის ოპერა „ჯამბაზები“. ოპერა შესრულდა ქართულ ენაზე და სათანადო შეფორების უქონლობის გამო რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა. დირიჟორი იყო ივ. ფალიაშვილი, ოპერაში მონაწილეობდნენ: ბ. მრავალი, დ. ანდრუკაძე, შ. ცირლოაძე და სხვ. ორკესტრი ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსებისგან შედგებოდა. ისინი იმ-



ლილი

შეამოქმედი

მიხეილ ყვარელაშვილი
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი



ლევსანდრე ასმეტელის, როგორც დიდი შემოქმედის, ნოვატორისა და მოაზროვნე რეჟისორის მრავალმხრივ მოღვაწეობას, ვინ აღწერს ისე მართლად, თუ არა მისი მოწაფეები, რომლებიც მისი შემოქმედების უშუალო მოწმენი ყოფილან. მათ კარგად იციან და ახსოვთ, თუ

რა გატაცებითა და თავდადებით იბრძოდა ასმეტელი ქართული საბჭოთა თეატრის შესაქმნელად.

მართალია, აღ. ასმეტელს ქართულ თეატრამდე არ უშუაგანია რუსეთის ან სხვა ქვეყნების სასუკეთესო თეატრებში რეჟისორად, იქ არ მიუღია რეჟისორული წრითა და გამოცდილებამ, თეატრალურ ტრადიციებზე იგი სპეციალურად არ აღზრდილა, მაგრამ თავისი თვითმყოფადი ნიჭით და დიდი შრომით სათანადო დასკვნებს უკეთებდა თავლით ნაწახს და არჩევდა ამა თუ იმ თეატრის სტილსა და ფორმას, რაც თავის დროზე იქნა გასუქებული ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილ მის პუბლიცისტურ წერილებსა და საჯარო მოხსენებებში. ასმეტელი თეატრში მოვიღამდე განმარტავდა, რომ „ქართველი ერის სულიერი მოთხოვნები და ეთიკური ღვთაება მოითხოვს ერთდროულ ფორმებში ჩამოსხმას“. იგი ხედავდა, რომ მიმდინარე სულიერი და მატერიალური კულტურის ქართველ ხალხს იმხანად არ გააჩნდა პოეტური გმირული შემოქმედების ერთგული თეატრი.

ასმეტელი ჰედავდა, რომ ქართველი ხალხის ძლიერი თეატრალური პოტენცია ერთ წერტილზე გაიყინა. საჭირო იყო ამ ყინულის დატყრა, ხოლო ამისათვის აუცილებლად მიაჩნდა ქართულ თეატრში ერთგული ფორმის მოძებნა. ასეთი ფორმის გამოძებნის ცდით ასმეტელმა პირველმა ჩატქნა სწორი ყინული ქართულ თეატრში, მაშინ როდესაც დადგა ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“ (1920 წ.). „ბერდო ზმანია“-ს აღებურად დადგებით ქართულ თეატრში დაიწყო ახალი ერა. მაგრამ ამ სიახლეს წინ აღუდგა ძველის წინააღმდეგობანიც.

ხანად სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ. ოპერა „კამმანუხი“ ცნობილია მასობრივი სცენებით, სტუდიას კი უსახსრობის გამო სცენის თანამშრომელთა დაქირავება არ შეეძლო. აქ ისევ კ. მარჯანიშვილისა და ს. ასმეტელის ავტორიტეტმა უშველა. მასობრივ სცენებში მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრის მთელმა კოლექტივმა. სპექტაკლი მაღალ მხატვრულ დონეზე მომზადდა. ს. ასმეტელი მალე მიწვეულ იქნა ოპერისა და ბალეტის თეატრში წ. ფალიაშვილის მესამე ოპერის „ლატარას“ დამდგმელად.

ს. ასმეტელმა აქაც გაიმარჯვა. ამის შემდეგ იწყებს იგი ოპერა „კუეენობების“ დადგენას მუშაობას, მაგრამ რატომღაც იგი აღარ განხორციელებულა. ს. ასმეტელი კარგად გრძობდა მუსიკას. მუსიკალური რიტმი მისთვის არსებითი იყო დრამის სპექტაკლებშიც. იცოდა კომპოზიტორთან მუშაობა, გრძობდა მუსიკალური ნაწარმოების ყოველ ტაქტს.

სპექტაკლის მზადების პერიოდში რეჟისორი მუდამ აუცილებელი „სტუპანი“ იყო თეატრის ყოველი საამქროსი, საგრიზიზორო იქნებოდა იგი, სამკერვალო თუ სარეკვიზიციო; საბუტაფორო-სამაკეტო საამქროში იგი ღამეებს ათენებდა და ჩვენც მასთან ერთად ვიყავით (მაშინ კარგახანს სადადგმო ნაწილის გამგედ ვუმუშაობდი). მხატვრის მიერ წარმოდგენილ ესკიზებს თუ მოიწონებდა, ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ უკომანოდ მიიღებდა მას. ესკიზებიდან მაკეტამდე კიდევ ბევრი რამ იცვლებოდა. იყო შემთხვევები, როცა ცველაფერს დაიწუნებდა და მხატვრის დაუყოვნებლივ თავიდან უნდა დაიწყო ახალ ესკიზებზე მუშაობა.

„ლამარას“ პირველი დადგმის დეკორაციული გაფორმება კ. მარჯანიშვილისა და ს. ასმეტელის ერთობლივი გააზრებით გაკეთდა. გავიდა დრო და დადგმა სხვა დეკორაციული გაფორმება მოითხოვდა, საამისო მუშაობა კარგა ხანს მიმდინარეობდა სადეკორაციო საამქრო-

ში. დეკორაციები დამზადდა, გადმოიტანეს სცენაზე, დაიწყო მსახიობების „შეკვება“ „სეკვება“ გაჩვენება, მაგრამ პირველივე რეპეტიციის დროს აშკარა შეიქნა, რომ იგი მსახიობებისათვის მოუხერხებელი იყო. ს. ასმეტელი მიხვდა რომ უკეთეს მხატვრის, ისე საკუთარ შეცდომას, ეს ვაი-ვაგალობით აგებული დეკორაციები მიყისვე დაშლევინა და იმ დამსწვე მხატვართან ერთად შეუდგა ესკიზების მესამე ვარიანტის შექმნას. სწორედ ეს მესამე ვარიანტი განხორციელდა სახლოლოდ.

ს. ასმეტელის შემოქმედებითი ცხოვრება ზღვა მასალას იძლევა მასზე მსჯელობისათვის, ამჯერად მხოლოდ ფრაგმენტული მოგონებებით შემოვიფარავლეთ.

სადაც, გულის კუნჭულში, თითქოს ისიც კი სიამოვნების მომგვრლობა, როცა იცო, რომ კიდევ ბევრი გაქვს სათქმელი იმეთ დიდ შემოქმედზე, როგორც სანდრო ასმეტელი იყო. მისი ყოველი გახსენება შთაგონებს იწყებს.



სტეფან კობე მარქანიშვილი, ვლ. სიმონიშვილი, სანდრო ამბეტელი, დ. ჩხეიძე; დვანიან მ. ჭიჭინაძე, ალ. გველესანი, ვ. სილაშვილი, გ. სილაშვილი, დ. ანთაძე

მიუხედავად ამისა, ამბეტელს ფარხმალი არ დაუყრია. იგი მაინც თავის დიდ ნიჭსა და ენერჯიას ეროვნული ფორმის ძიებას ანდომებდა. ქართველის ტანჯვა-ცლთვაში, სიცოცხლისა და სიკვდილის, ჭიჭინა და დვანიანში, ლოცვასა და წყურბულში ხედვდა ნამდვილი თეატრალობის განსახიერებას. სწორედ ქართველი ხალხის ამ ნიშნებზე დაყრდნობით აგებდა თავის თეატრს. ამბეტელი იძლეოდა შესანიშნავ დასკვნას: „ქართველი მუდამ მსახიობობს, რადგან მუდამ მეორის და ვინც არ მეორის, იგი არც სახიობობს“.

ალ. ამბეტელი მსახიობში ეძებდა თანდაყოლილ, ბუნებრივ სახიობას და არა ხელოვნურად აღზრდილს, მას უნდოდა ქართველ მსახიობში, უპირველეს ყოვლისა, დაენახა მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე. სახიობას კი იგი სთვლიდა მისთვის (მსახიობისათვის, მ. ყ.) ზოგად პროფესიად.

გარდა ამისა, იგი სამართლიან მოთხოვნას უყენებდა ქართული, ახალი თეატრის მშენებელ მსახიობს, როცა მისგან ტემპერამენტს, სხეულის მოქნილობას, ცეცხლოვნებას, შემპარაკობას მოითხოვდა.

ალ. ამბეტელი თავის შემოქმედებას საფუძვლად უდებდა ხალხურობას, უბრალოებას, სილაშაზეს. იგი ეყრდნობოდა ხალხის გენიას, ხალხის ნიჭს და შემოქმედებითად იყენებდა ხალხურ შემოქმედებას. ზეპირსიტყვიანობით, მუსიკა-სიმღერით, თამაშობებით ამდიდრებდა სპექტაკლებს. ამბეტელი ხალხურ შემოქმედების მარგალიტებს სათუთად ეპყრობოდა, ეყებოდა ხალხურ ნიშნებს სპექტაკლებში ჩასართავად.

ალექსანდრე ამბეტელი შესანიშნავად იცნობდა ქართულ ხალხურ თეატრალურ შემოქმედებას: ხალხურ თეატრის, ნიდებებს, ბერეკაობა-ყველიობას, ჩრდილობანას, ხალხური სპორტის ყველა სახეობას. თითქმის აბსოლუტური სმენა და რიტმის საოცარი შეგრძნება ჰქონდა. მღეროდა კარგად. ბავშვობიდანვე ჰქონია მუსიკისა და სიმღერისადმი მიდრეკილება. ჯერ

კიდევ მოზარდი, ცნობილი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის გუნდში მღეროდა, ეუფლებოდა ჭიჭინაძე-სიმანი სიმღერების შესრულებას.

ზახსოვს, უკვე მიწიფულობაში ხშირად გვიხოვდა გველერა მისი მასწავლებლის — ნიკო სულხანიშვილის მიერ 1911-12 წლებში შეიხსული შესანიშნავი სიმღერა „მამ გამარჯავბა“, რომელშიც გამოხატულია ადამიანის უდიდესი აღფრთოვანება და უსაზღვრო სიყვარული სიცოცხლისადმი. ამ სიმღერაში ასახულია ხალხის სიცოცხლისდამაშვილებელი ნიჭი და მისწრაფება, ამბეტელსაც ხომ სიცოცხლე უყვარდა.

1926-27 წელს, აკაკის ფაღავას სტუდიის ლიკვიდაციის შემდეგ, ალ. ამბეტელმა თეატრთან ჩამოაყალიბა ორწლიანი სტუდია-სახელოსნო, სადაც მიიზიდა ოცამდე ნიჭიერი ახალგაზრდა. მათ აღსაზრდელად მოიწვია საუკეთესო პედაგოგები. რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდია-სახელოსნო არ შეზღუდულია მარტო ეროვნული კადრების აღზრდით, მან დიდი დახმარება გაუწია მოძმე და ავტონომიურ რესპუბლიკებს.

ალ. ამბეტელის მიერ ჩამოყალიბებული სტუდია-სახელოსნო საფუძვლად დაედო რუსთაველის სახ. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დაარსებას. მისი ინიციატივით კახეთში, კერძოდ, ქ. სიღნაღში ჩამოყალიბდა მუდმივი დასი, რეჟისორად მივლინებული იყო შოთა აღსაბაძე, მხატვრად — ი. გამრეველი. დასის გასაძლიერებლად გივ. ზანტის მსახიობებიც: ბებე ჯაინია, ვიქ. მიროტაძე, ასალგაზრდებიდან — ლიზიკო ვარნაძე და ცალკეულ დადგმებში მონაწილეობის მისაღებად გიორგი დავითაშვილი.

„საქართველოში ყველა ქალაქსა და დაბაში უნდა აშენდეს თეატრული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით, ჩვენი სპექტაკლები საკუთარ თეატრში ვერ ეტევა. ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, სენაკსა და ოზურგეთში, თელავში, გურჯაანში, სიღნაღში უნდა ეკონსტრუქციონოს იმის საშუალება, რომ ჩვენი თეატრის დადგმები ვუქვეყნო პერიფერიის მშრომლებს“, — ამბობდა ამბეტელი. იგი ხვდებოდა რაიონების ხელმძღვანელებს, აწარმოებდა მოლაპარაკებას, აძლევდა გვეგმებს და კონკრეტულ რჩევას რა მოცულობის უნდა ყოფილიყო თეატრი, მისი სცენა და მაყურებელთა დარბაზი.

